186
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

124

იანვარი — თებერვალი

1980 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1980 წ.

166 45

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. მახარაძის სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანების ფუნქციებისა და საქმიანობის სფეროს გაფართოების შესახებ.
2. საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის სახელმწიფო პრემიების შესახებ.
3. აკადემიკოს გ. ს. ძოწენიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

4. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის მრავალწლოვანი ნარგავებისა და ნათესების ღირებულების ანაზღაურების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.
5. სამოქალაქო სამართალწარმოებისა და ნოტარიატის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
6. კაპიტალური მშენებლობის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
7. დასახლებულ პუნქტებში ძაღლების, კატების და მტაცებელი ცხოველების ყოლის წესების დამტკიცების შესახებ.

კ. ზარქუას სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 11 აპრილის № 227 დადგენილების მე-2 პუნქტისა და 1973 წლის 30 ოქტომბრის № 652 დადგენილების გაუქმების შესახებ.
9. პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ყოველწლიური ოლიმპიადის, სპარტაკიადისა და შემოქმედებითი ნაკეთობების რესპუბლიკური გამოფენის მოწყობის შესახებ.
10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობაში განყოფილებათა შექმნის შესახებ.
11. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა შექმნის წესის დამტკიცების შესახებ.
12. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიაში ნაყიდი სამამულო წარმოებისა და იმპორტული ფეხსაცმლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ.
13. სამრეწველო პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების საქმეში მისი ატესტაციის როლის შემდგომი გაძლიერების შესახებ.
14. „სამრეწველო საწარმოს (გაერთიანების) ტექნიკური კონტროლის განყოფილების (სამმართველოს) ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 დეკემბრის № 1094 დადგენილების თაობაზე.
15. მარნეულის მრავალწლოვანი ბალახების თესლის მწარმოებელი საბჭოთა მეურნეობისათვის სახელის გადარქმევის შესახებ.
16. „სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 46 დადგენილების რეალიზაციის თაობაზე.
17. სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
18. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ.
19. შრომის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
20. სახალხო მეურნეობის ზოგად საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 მახარაძის სოფლის მეურნეობის, რაიონული საწარმოო გაერთიანების ფუნქციებისა და საქმიანობის სფეროს გაფართოების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მახარაძის რაიონში სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების შექმნამ მთლიანად ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების შემდგომ გადიდებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის ბაზაზე წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესის დაჩქარებას, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სასოფლო-სამეურნეო, გადამმუშავებელ და სხვა, სოფლის მეურნეობის მომსახურე, საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას მათი საქმიანობის კოორდინაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გზით. პარტიის რაიკომმა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა მიიღეს დარგისადმი ხელმძღვანელობის უფრო სრულყოფილი აპარატი.

მაგრამ მახარაძის სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანების საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ მას ამჟამად ჯერ კიდევ არ გააჩნია საკმარისი მატერიალური, ფინანსური და ორგანიზაციული ბერკეტები საუწყებათაშორისო ურთიერთობის მრავალი პრობლემის მოსაგვარებლად, სოფლის მეურნეობის, გადამმუშავებელი მრეწველობის, მშენებლობისა და მთლიანად რაიონის აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერსპექტიული განვითარებისა და განლაგებისათვის.

მახარაძის რაიონში აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს კპ მახარაძის რაიკომისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება მახარაძის სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანების ფუნქციებისა და საქმიანობის სფეროს გაფართოების შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 დეკემბრის № 1009 დადგენილებით დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების დებულების შესაბამისად.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს მახარაძის სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 2 ივნისის № 367 დადგენილება.

2. საქართველოს კპ მახარაძის რაიკომმა, მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში მოამზადონ, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ — დაამტკიცოს დებულება მახარაძის სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანების შესახებ.

3. დაწესდეს, რომ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მახარაძის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე არის მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე;

— მახარაძის სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანოების გარდა შედიან საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, საქსახსოფლტექნიკისა და სხვა უწყებათა საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც განლაგებულია რაიონის ტერიტორიაზე;

— ყველა სამინისტროსა და უწყების (საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდა) საწარმოები და ორგანიზაციები ორმაგი დაქვემდებარებისაა და მათს მართვას ახორციელებენ მახარაძის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების საბჭო მისი კომპეტენციის ფარგლებში და შესაბამისი ზემდგომი ორგანიზაციები.

4. მახარაძის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანება თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს.

5. გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციას უნარჩუნდება წინანდელი უწყებრივი კუთვნილება, სამეურნეო დამოუკიდებლობა და იურიდიული პირის უფლებები.

6. დაწესდეს, რომ მახარაძის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებაში შეიქმნება ცენტრალიზებული ფონდები:

— მეურნეობათა (საწარმოთა და ორგანიზაციათა) განმტკიცებისა და გაფართოების ფონდი;

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი;

— მატერიალური წახალისების ფონდი;

— სარეზერვო ფონდი.

7. ორმაგი დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები ცენტრალიზებული ფონდების შესაქმნელად გადარიცხავენ სახსრებს სამეურნეო წლის დამლევის მდგომარეობით თითოეული ფონდის 20 პროცენტამდე ოდენობით. ცენტრალიზებულ ფონდებში გადასარიცხი სახსრების კონკრეტულ ოდენობასა და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების წესს განსაზღვრავს მახარაძის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების საბჭო.

8. საქართველოს კპ მახარაძის რაიკომმა, მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა, გაერთიანების მონაწილე სამინისტროებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უწყებებმა სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების მუშაობისა და ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინონ ინფორმაცია საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველი წლის 20 თებერვალს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 8 იანვარი, № 71

2 საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის საახელმწიფო პრემიების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ჩვენი თანამედროვის სახის მხატვრულ ხორცშესხმაში, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის გმირული შრომის, უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტიური პროცესების ასახვაში. გაიზარდა კულტურის მოღვაწეთა მოქალაქეობრივი აქტივობა, განმტკიცდა მწერალთა, მხატვართა, მუსიკოსთა, თეატრისა და კინოს მუშაკთა შემოქმედებითი კონტაქტები შრომითს კოლექტივებთან, საბჭოთა არმიის მეომრებთან, მოსწავლე ახალგაზრდობასთან.

ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემებისა და პროცესებისადმი მიძღვნილი ისეთი ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შექმნის წახალისების მიზნით, რომლებიც ნათლად ასახავენ საბჭოთა ადამიანების მდიდარ სულიერ სამყაროს და მათს თავდადებულ ბრძოლას ხუთწლიანი გეგმების შესრულებისათვის, ემსახურებიან საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საქმეს, შთააგონებენ მათ შრომითი გმირობისათვის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაარსდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ექვსი პრემია „ხუთწლედის მატიანე“ — თითო ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, თეატრის, კინოსა და ტელევიზიის, არქიტექტურის დარგებში, 2-2 ათასი მანეთის ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ მოსაპოვებლად წარმოდგენილი კანდიდატურებისა და ნამუშევრების განხილვა დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს აგრეთვე კოორდინაცია გაუწიოს გ. ტაბიძის სახელობის პრემიის, ი. მაჩაბლის სახელობის პრემიის, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის, კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიის მინიჭებას.

4. მოყოლებული 1980 წლიდან, მოეწყოს კონკურსები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ მოსაპოვებლად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიები „ხუთწლედის მატიანე“ მიენიჭოს ყოველწლიურად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საახალწლო დღესასწაულისათვის — 1 იანვრისათვის.

6. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიცვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სტრუქტურა და განმტკიცდეს მისი აპარატი, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ საჭიროა კომიტეტის თავმჯდომარის განთავისუფლებული მოადგილის თანამდებობის შემოღება.

დამტკიცდეს აღნიშნული კომიტეტის ახალი შემადგენლობა, დანართის თანახმად.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 28 დეკემბრის № 892 დადგენილების 1-ლი პუნქტი.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი არსებულ დებულებაში ამ კომიტეტის შესახებ, შეიმუშაოს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ შესახებ, სამკერდე მედლების ნიმუშები, და წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 1 მარტამდე.

8. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის აპარატის საშტატო განრიგი;

— ყოველწლიურად გამოუყოს აღნიშნულ კომიტეტს ლაურეატთა პრემიებისათვის, აგრეთვე იმ ექსპერტთა და რეცენზენტთა შრომის ანაზღაურები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის საჭირო სახსრები, რომელთაც მიიზიდავს კომიტეტი სამუშაოდ ბ. ... რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაწარმოებთა განხილვის პროცესში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 15 იანვრის, № 80

3 აკადემიკოს გ. ს. ძოწენიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის აკადემიკოს გიორგი სამსონის ძე ძოწენიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ. ამასთან დაკავშირებით:

1. მიეკუთვნოს აკადემიკოს გ. ს. ძოწენიძის სახელი:

— ქალაქ ქუთაისის ერთ-ერთ საშუალო სკოლას;

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის მონოგრაფიულ მუზეუმს.

2. დაარსდეს გ. ს. ძოწენიძის სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს დადგას გ. ს. ძოწენიძის ბიუსტი ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის შენობაში.

4. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიაკუთვნოს აკადემიკოს გ. ს. ძოწენიძის სახელი ერთ-ერთ ქუჩას ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს შექმნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შეკვეთით დოკუმენტური ფილმი გ. ს. ძოწენიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 12 თებერვალი, № 143

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის მრავალწლოვანი ნარგავებისა და ნათესების ღირებულების ანაზღაურების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს „დებულება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის მრავალწლოვანი ნარგავებისა და ნათესების ღირებულების ანაზღაურების შესახებ“.

2. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 7 ივლისის № 451 დადგენილება „ქალაქებში, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის ხილ-კენკრის ნარგავებისა და ნათესების ღირებულების ანაზღაურების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ და „მადნის ამოსაღებად ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მიერ საჩხერის რაიონის კოლმეურნეობათა მიწების გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ოქტომბრის № 631 დადგენილების მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირველი ნაწილი დანართთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 2 იანვარი, № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 2 იანვრის № 3
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის მრავალწლოვანი ნარგავებისა და ნათესების ღირებულების ანაზღაურების შესახებ

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის მრავალწლოვანი ნარგავებისა და ნათესების ღირებულების შეფასებას ეწევიან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ 1975 წლის 14 მაისს დამტკიცებული ინსტრუქციის მეხუთე თავში გათვალისწინებული კომისიები.

კომისიები მრავალწლოვანი ნარგავებისა და ნათესების შეფასებას აწარმოებენ ქვემოაღნიშნული წესების დაცვით:

1. მრავალწლოვანი ხეხილის ნარგავები დაიყოფა სამ ჯგუფად: თესლოვანები, კურკოვანები და კაკლოვანები, ნაგალა ჯიშის თესლოვანები შეფასების დროს მიეკუთვნებიან კურკოვანებს, რადგან ეს ნარგავები, ისე როგორც კურკოვანები, ადრე იწყებენ მსხმოიარობას და ადრე ბერდებიან.

2. ვენახის ნარგავები იყოფა ორ ჯგუფად: დაბლარი და მაღლარი; მაღლარს მიეკუთვნება აგრეთვე ხეივნები.

3. ციტრუსოვანი ნარგავები იყოფა ორ ჯგუფად: პირველი — მანდარინი და ფორთოხალი, მეორე — ლიმონი და დანარჩენი ციტრუსოვანი კულტურები.

4. კაკლოვანებიდან კაკალი და წაბლი გამოიყოფა ცალკე ჯგუფად, ხოლო თხილი, უნაბი და ნუში ცალკე ჯგუფად.

5. სუბტროპიკული ხურმა გამოიყოფა ცალკე ჯგუფად, ლეღვი და შუშმალა — ცალკე ჯგუფად, ბროწეული და ზღმარტლი (ბაღის) — ცალკე ჯგუფად.

6. დაფნა გამოიყოფა ცალკე ჯგუფად.

7. თუთის ნარგავები გამოიყოფა ცალკე ჯგუფად.

8. მრავალწლოვანი ეთერზეთოვანი კულტურები შეადგენენ ერთ ჯგუფს.

წლების მიხედვით შეფასება განისაზღვრება შემდეგი ოდენობით (წლოვანება იანგარიშება დარგვიდან):

ვაზი დაბლარი	2 წლამდე	55 კაპიკი
	2-3 წლამდე	1 მანეთი
	3-5 წლამდე	2 მანეთი
	5 და მეტი წლისა	3 მანეთი
ვაზი მაღლარი		
ნამყენ ძირზე	3 და მეტი წლისა	7 მანეთი
საკუთარ ძირზე	3 და მეტი წლისა	5 მანეთი და 50 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანდარინი და ფორთოხალი	3 წლამდე	2 მანეთი
	3-5 წლამდე	3 მანეთი
	5-7 წლამდე	5 მანეთი
	7-10 წლამდე	15 მანეთი
	10-12 წლამდე	25 მანეთი
	12 და მეტი წლისა	30 მანეთი
ლიმონი და სხვა ციტრუსოვანი კულტურები	3 წლამდე	2 მანეთი
	3-5 წლამდე	3 მანეთი
	5-7 წლამდე	4 მანეთი
	7-10 წლამდე	12 მანეთი
	10-12 წლამდე	22 მანეთი
	12 და მეტი წლისა	25 მანეთი
დაფნა (ინდივიდუალურად დარგული)	3 წლამდე	1 მანეთი
	3-5 წლამდე	1 მანეთი და 20 კაპიკი
	5-8 წლამდე	1 მანეთი და 80 კაპიკი
	8-10 წლამდე	2 მანეთი და 50 კაპიკი
	10 და მეტი წლისა	4 მანეთი
დაფნა (შპალერული წესით დარგული)	3 წლამდე	80 კაპიკი
	3-5 წლამდე	1 მანეთი და 10 კაპიკი
	5-8 წლამდე	1 მანეთი და 50 კაპიკი
	8 და მეტი წლისა	2 მანეთი და 20 კაპიკი
ჩაის ბუჩქი	3 წლამდე	20 კაპიკი
	3-5 წლამდე	35 კაპიკი
	5-8 წლამდე	70 კაპიკი
	8 და მეტი წლისა	1 მანეთი და 20 კაპიკი
ხილი — თესლოვანები (ძლიერ საძირეზე)	3 წლამდე	5 მანეთი
	3-5 წლამდე	7 მანეთი
	5-8 წლამდე	10 მანეთი
	8-10 წლამდე	16 მანეთი
	10-13 წლამდე	24 მანეთი
	13 და მეტი წლისა	40 მანეთი
ხილი — თესლოვანები (საშუალო ზრდის საძირეზე)	3 წლამდე	3 მანეთი
	3-5 წლამდე	15 მანეთი
	5 და მეტი წლისა	30 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილი — თესლოვანები (სუსტი ზრდის საძირეზე)	3 წლამდე	2 მანეთი
	3-5 წლამდე	5 მანეთი
	5-6 წლამდე	8 მანეთი
	6-8 წლამდე	11 მანეთი
	8 და მეტი წლისა	16 მანეთი
ხილი — კურკოვანები (ქლიავი, ბალი, გარგარი და სხვა)	3 წლამდე	2 მანეთი
	3-7 წლამდე	8 მანეთი
	7-10 წლამდე	14 მანეთი
	10 და მეტი წლისა	20 მანეთი
ა ტ ა მ ი	3 წლამდე	3 მანეთი
	3-5 წლამდე	10 მანეთი
	5-7 წლამდე	16 მანეთი
	7 და მეტი წლისა	20 მანეთი
კაკალი და წაბლი	4-20 სმ დიამეტრი	ყოველი სმ — 80 კაპიკი
	20-25 სმ დიამეტრი	ყოველი სმ — 1 მანეთი
	50 სმ დიამეტრი	ყოველი სმ — 1 მანეთი და 50 კაპიკი
თხილი, უნაბი და ნუში	3 წლამდე	50 კაპიკი
	3-5 წლამდე	1 მანეთი
	5-8 წლამდე	5 მანეთი
	8-10 წლამდე	12 მანეთი
	10-12 წლამდე	1 [illegible]
	12 და მეტი წლისა	18 მანეთი
სუბტროპიკული ხურმა	3 წლამდე	80 კაპიკი
	3-5 წლამდე	1 მანეთი
	5-8 წლამდე	6 მანეთი და 50 კაპიკი
	8-10 წლამდე	10 მანეთი
	10-13 წლამდე	14 მანეთი
	13 და მეტი წლისა	20 მანეთი
ლეღვი და მუშმულა	3 წლამდე	50 კაპიკი
	3-5 წლამდე	5 მანეთი
	5-7 წლამდე	11 მანეთი და 50 კაპიკი
	7 და მეტი წლისა	20 მანეთი

შენიშვნა: ხის დიამეტრი უნდა გაიზომოს მიწიდან 1 მეტრ და 30 სანტიმეტრ სიმაღლეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბროწეული და ზღმარტლი (ბაღის)	3 წლამდე	50 კაპიკი
	3-5 წლამდე	2 მანეთი
	5-8 წლამდე	7 მანეთი
	8-10 წლამდე	12 მანეთი
	10 და მეტი წლისა	15 მანეთი
თუთის ნარგავები	3 წლამდე	50 კაპიკი
	3-5 წლამდე	2 მანეთი
	5-8 წლამდე	5 მანეთი
	7-10 წლამდე	8 მანეთი
	10-13 წლამდე	15 მანეთი
	13 და მეტი წლისა	19 მანეთი
მრავალწლოვანი ეთერზეთოვანი კულტურები	3 წლამდე	30 კაპიკი
	3-5 წლამდე	50 კაპიკი
	5-8 წლამდე	1 მანეთი
	8 და მეტი წლისა	1 მანეთი და 50 კაპიკი

ხენდრო-ბაღის მარწყვი (ხუთ წლამდე) კვადრატული მეტრი 30 კაპიკი. ერთწლოვანი კულტურების შეფასება უნდა მოხდეს ნათესი ფართობის რაოდენობის, კულტურების შემადგენლობისა და განვითარების მიხედვით.

შენიშვნა: 1. მრავალწლოვანი ნარგავების ღირებულება აღებულია ნორმალურად განვითარებულ ჯიშზე, რის გამოც შემფასებელ კომისიებს უფლება აქვთ, იმისდა მიხედვით, თუ როგორია ნარგავების ზრდა-განვითარება ან მათი ჯიშობრივი შემადგენლობა, 20 პროცენტის ფარგლებში მოუმატონ ან დააკლონ ფასები ნარგავებს ზემოაღნიშნულ ფასებთან შედარებით.

2. ხნოვანებაში შესული ან გადაბერებული, მაგრამ ნაყოფის მომცემი ნარგავები შეფასდება 50 პროცენტით ნაკლებად, ვიდრე სრულასაკოვანი მრავალწლოვანი ნარგავები.

3. დაკნინებული და დაზიანებული ახალგაზრდა ნარგავები არ შეფასდება.

4. არანამყენი ხეხილისა და ვაზის ნარგავები შეფასდება 50 პროცენტით ნაკლებად, ვიდრე ნამყენი ნარგავები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 სამოქალაქო სამართალწარმოებისა და ნოტარიატის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ივლისის № 427 დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სამოქალაქო სამართალწარმოებისა და ნოტარიატის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 2 იანვარი, № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 2 იანვრის № 7
დადგენილებით

ნუსხა

სამოქალაქო სამართალწარმოებისა და ნოტარიატის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 9 ივლისის № 26 დადგენილება „გზირის გასამრჯელოს შესახებ სამოქალაქო საქმის გამო შესატყობინებლის ჩაბარებისათვის“ (საქ. სსრ კან. კრ., 1924 წ., № 2, მუხ. 4).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 26 იანვრის № 135 დადგენილება „იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად“ (საქ. სსრ კან. კრ., 1935 წ., № 5, მუხ. 32).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 10 ნოემბრის № 1554 დადგენილება „იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად“ (საქ. სსრ კან. კრ., 1935 წ., № 32, მუხ. 206).

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 კაპიტალური მშენებლობის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ივლისის № 427 დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს კაპიტალური მშენებლობის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 2 იანვარი, № 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 2 იანვრის № 8 დადგენილებით

ნუსხა

კაპიტალური მშენებლობის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 23 ივნისის № 817 დადგენილება „ადგილობრივი საშენი მასალების ფასების დაკლების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1935 წ., № 25, მუხ. 139).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 25 ოქტომბრის № 1459 დადგენილება „რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1935 წ., № 33, მუხ. 207).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 3 მარტის № 160 დადგენილება „ადგილობრივი საშენი მასალების ფასების შემცირების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1936 წ., № 7, მუხ. 47).

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 29 მარტის № 337 დადგენილება „რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის თაობაზე“ გამოცემული 1935 წ. ოქტომბრის 25-ის დადგენილების მე-8 მუხლის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1936 წ., № 11, მუხ. 65).

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 3 აპრილის № 361 დადგენილება „სამშენებლო საქმის გაუმჯობესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1936 წ., № 15, მუხ. 88).

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 7 მაისის 465 დადგენილება „აფხაზეთის ასსრ-ში სახელმწიფო სამშენებლო ტრესტის მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1936 წ., № 15, მუხ. 89).

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 29 ივნისის № 740 დადგენილება „აგურზე და კრამიტზე ხარისხის მიხედვით ფასების დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1936 წ., № 25, მუხ. 143).

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის 1106 დადგენილება „აგურისა და კირის ფართო მოხმარების საგასაცემო ფასების შემცირების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1937 წ., № 16, მუხ. 116).

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 7 ივლისის № 996 დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებში საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1938 წ., № 6, მუხ. 24).

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის № 2546 დადგენილება „საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებადაურთველად სასკოლო შენობებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობის აკრძალვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1938 წ., № 10, მუხ. 55).

11. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 20 ივნისის № 1136 დადგენილებისა „საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესებისა და მშენებლობის დაფინანსების მოწესრიგების შესახებ“ გამოცემული სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 26 თებერვლის დადგენილებასთან დაკავშირებით სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის თაობაზე გამოცემულ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 10 მაისის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1939 წ., № 16, მუხ. 64).

12. მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 25 ნოემბრის № 718 დადგენილებისა „იმ კინოთეატრების მშენებლობისა და ექსპლუატაციის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სესხთა ხარჯზე შენდება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 დასახლებულ პუნქტებში ძაღლების, კატებისა და მტაცებელი ცხოველების ყოლის წესების დამტკიცების შესახებ

რესპუბლიკის ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების, მაწანწალა და უმეთვალყურეო ძაღლებისა და კატების რაოდენობის შემცირების და ამ ცხოველთა მიერ ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადებების, კერძოდ, ცოფის გამომწვევთა გავრცელების საფრთხის ლიკვიდაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დასახლებულ პუნქტებში ძაღლების, კატებისა და მტაცებელი ცხოველების ყოლის თანდართული წესები.

2. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მოაწყონ მაწანწალა და უმეთვალყურეო ძაღლებისა და კატების განუწყვეტელი დაჭერა.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ და მონკავშირის გამგეობამ შეიმუშაონ და განახორციელონ სამონადირეო-სამეურნეო ღონისძიებათა კომპლექსი, რაც უზრუნველყოფს სამონადირეო სავარგულებში ოპტიმალური რაოდენობის მელიების ყოლას (1-2 სული 10 კვადრატულ კილომეტრზე), მგლების მთლიანად მოსპობას სახელმწიფო და აღკვეთილ სამონადირეო მეურნეობებში და მგლებისა და სხვა მტაცებელი ნადირის, გარდა წითელ წიგნში შეტანილი ცხოველებისა, რაოდენობის მაქსიმალურ შემცირებას დანარჩენ სავარგულებში.

16645

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 11 იანვარი, № 30

ქ. მარქსის სახ. სახ. სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 11 იანვრის № 30
დადგენილებით

წ ე ს ე ბ ი
დასახლებულ პუნქტებში ძაღლების, კატებისა და მტაცებელი ცხოველების ყოლისა

1. ზოგადი დებულებანი

1.1. ეს წესები ვრცელდება ორგანიზაციებზე, დაწესებულებებზე, საწარმოებსა და მოქალაქეებზე, რომლებსაც ჰყავთ ძაღლები, კატები და მტაცებელი ცხოველები.

1.2. ძაღლების, კატებისა და მტაცებელი ცხოველების მფლობელნი მოვალენი არიან მკაცრად დაიცვან მათი მოვლა-პატრონობის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და წესები, მათ შორის არ დაუშვან ამ ცხოველთა მიერ საერთო სარგებლობის ადგილების გაბინძურება, ამასთან აუცილებლად უზრუნველყონ ადამიანთა უსაფრთხოება.

1.3. 1.2 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნების დაცვით ნებადართულია ყოლა:

ერთი ძაღლისა და ერთი კატისა ერთი ოჯახის მიერ დაკავებულ ცალკე ბინებში და ინდივიდუალურ სახლებში, რამდენიმე ოჯახის მიერ დაკავებულ ბინებში კი — მხოლოდ ყველა მობინადრის თანხმობით.

ძაღლებისა, კატებისა და მტაცებელი ცხოველებისა საბავშვო დაწესებულებათა, ზაფხულისა და ზამთრის გამაჯანსაღებელ და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა (სატყეო სკოლები, პიონერბანაკები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები და ა. შ.) „ზოოკუთხეებში“, „ცოცხალ კუთხეებში“ — სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური და სავეტერინარო სამსახურების ნებართვით;

ძაღლებისა დასახლებულ პუნქტებში — თავისუფლად, იზოლირებულ, კარგად შემოღობილ ტერიტორიაზე (იზოლირებულ სადგომში) ან დაბმული;

სადარაჯო ძაღლებისა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში — მხოლოდ დაბმული.

1.4. უთასმოდ და პირაუბმელად ნებადართულია ძაღლების ყოლა ფარებსა და ნახირებში, სპეციალური ორგანიზაციების მიერ ოპერატიული გამოყენებისას; სპეციალური დანიშნულების ძაღლებისა, აგრეთვე ძაღლებისა დაგეშვის დროს, ნადირობისას, სასწავლო-საწვრთნელ მოედნებზე 1.2 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნების დაცვით.

2. ძაღლების, კატებისა და მტაცებელი ცხოველების მფლობელთა მოვალეობანი

2.1. ძაღლების, კატებისა და მტაცებელი ცხოველების მფლობელნი მოვალენი არიან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რეგისტრაციაში გაატარონ თავიანთი ძაღლები, კატები და მტაცებელი ცხოველები ქალაქად კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციებში, ხოლო სოფლად — სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოებში სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის მიერ დადგენილი წესით.

ცხოველთა რეგისტრაციის ხარჯების ღირებულებას აანაზღაურებენ მათი მფლობელნი. სანადირო ძაღლების რეგისტრაცია მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებაში უფასოა;

— აცნობონ 5 დღის განმავლობაში მოცემული დასახლებული პუნქტის მომსახურე სავეტერინარო დაწესებულებას ძაღლის, კატისა და მტაცებელი ცხოველის შეძენის შესახებ, აგრეთვე მათთან ერთად სხვა დასახლებულ პუნქტში გადასვლის შესახებ;

— მიიყვანონ ძაღლები, კატები სავეტერინარო დაწესებულებაში გამოსაკვლევად და ცოფსაწინააღმდეგო ასაცრელად, მოქმედი სავეტერინარო კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად; ჩააბარონ არასაჭირო ძაღლები და კატები მოხეტიალე ცხოველთა დამჭერ დაწესებულებებს; დაუყოვნებლივ შეატყობინონ სავეტერინარო დაწესებულებას ძაღლის ან კატის დაავადების ან სიკვდილის ყოველი შემთხვევა;

— დაუყოვნებლივ შეატყობინონ სამედიცინო და სავეტერინარო დაწესებულებებს ძაღლის, კატის მიერ ადამიანთა ან ცხოველთა დაკბენისა და ტრავმირების შემთხვევების შესახებ, დაუყოვნებლივ მიიყვანონ ძაღლები, კატები და მტაცებელი ცხოველები, რომლებმაც დაკბინეს ან ტრავმა მიაყენეს ადამიანებს ან ცხოველებს, სავეტერინარო სამკურნალო დაწესებულებაში გასასინჯად და კარანტინის გასავლელად 10 დღის განმავლობაში.

2.2. ძაღლების, კატებისა და მტაცებელი ცხოველების მფლობელთ ნება ეძლევათ:

— გამოიყვანონ ძაღლები საცხოვრებელი და იზოლირებული სადგომებიდან, აგრეთვე იზოლირებული ტერიტორიებიდან საერთო ეზოებში ან ქუჩაში მხოლოდ მოკლე თასმით (დიდი ცხოველები — პირაბმული), ამასთან აუცილებლად უზრუნველყონ მოქალაქეთა უსაფრთხოება;

— გადაიყვანონ ძაღლები, კატები და მტაცებელი ცხოველები ყველა სახეობის ტრანსპორტით, ამასთან დაიცვან მოცემული სახეობის ტრანსპორტზე მოქმედი წესები და აუცილებლად უზრუნველყონ მოქალაქეთა უსაფრთხოება;

— გაასეირნონ ძაღლები უშენ ადგილებში, უკანა ეზოებსა და სხვა ადგილებში, რომლებიც გამოყოფილია ამ მიზნით საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების ან სახალხო დეპუტატთა სასოფლო (სადაბო, რაიონული, საქალაქო) საბჭოების აღმასკომების მიერ.

2.3. აკრძალულია:

— ძაღლების, კატებისა და მტაცებელი ცხოველების ყოლა და მიყვანა საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, სასურსათო მაღაზიების სავაჭრო და საწარმოო დარბაზებში;

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ძაღლების ყიდვა-გაყიდვა, აგრეთვე ყველა სახეობის ტრანსპორტით გადაყვანა სხვა რაიონებში, ქალაქებში, ოლქებში, მხარეებში ან რესპუბლიკებში სავეტერინარო მოწმობის გარეშე, რომელზეც აღნიშნულ იქნება ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება.

შენიშვნა: ცხოველი ცოფშეუვალად ითვლება აცრის შემდეგ 31 დღიდან.

3. კომუნალური მეურნეობის ორგანოების, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებისა და სხვა ორგანიზაციების მოვალეობანი დასახლებულ პუნქტებში ძაღლების, კატებისა და მტაცებელი ცხოველების ყოლის პირობების უზრუნველსაყოფად

3.1. საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების (საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა გამგეობების) მუშაკები, კომენდატები და სახლმმართველები მოვალენი არიან თვალყური ადევნონ მოქალაქეთა კუთვნილი ძაღლების, კატებისა და სხვა მტაცებელი ცხოველების დროულად რეგისტრაციას (ხელახალ რეგისტრაციას) და შეატყობინონ მილიციის ორგანოებს ცხოველთა ყოლის ამ წესების დამრღვევ მფლობელთა შესახებ.

3.2. პასუხისმგებლობა დასახლებულ პუნქტში უმეთვალყურეო ცხოველთა არსებობისათვის ეკისრებათ საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანოებს.

3.3. უპატრონო ძაღლები და კატები, აგრეთვე მფლობელთა გარეშე ქუჩებში, ბაზრებში, სკვერებში, ბაღებში, პარკებში, ბულვარებში, პლაჟებზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და ა. შ. მყოფი ძაღლები, მიუხედავად ჯიშისა და დანიშნულებისა (თუნდაც ჰქონდეთ საყელოები, ჟეტონები და საპირეები) დაჭერილ უნდა იქნენ, ხოლო სამონადირეო სავარგულებში — დახოცილ იქნენ დადგენილი წესისა და სიფრთხილის ღონისძიებათა დაცვით.

3.4. ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან მოხეტიალე ცხოველთა დაჭერასა და მოსპობას, დაჭერილ ძაღლებს შეინახავენ 5 დღის განმავლობაში.

ძაღლი დაუბრუნდება მფლობელს იმ შემთხვევაში, თუ იგი 5 დღის განმავლობაში მიმართავს და დაადასტურებს თავის უფლებებს ცხოველზე (წარადგენს სარეგისტრაციო მოწმობას, სანადირო ძაღლის პასპორტს, სავეტერინარო მოწმობას და ა. შ.) და გადაიხდის ცხოველთა შენახვის ხარჯებს.

დასახლებულ პუნქტებში ძაღლების, კატებისა და მტაცებელი ცხოველების ყოლის ამ წესების დარღვევისათვის დამნაშავე მფლობელნი (ორგანიზაციები, დაწესებულებები, საწარმოები, ცალკეული მოქალაქენი) დაჯარიმდებიან (თანამდებობის პირები — 50 მანეთამდე, მოქალაქენი — 10 მანეთამდე) ხალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ადმინისტრაციული კომისიების მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 11 აპრილის № 227 დადგენილების მე-2 პუნქტისა და 1973 წლის 30 ოქტომბრის № 652 დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ვინაიდან რესპუბლიკაში განხორციელებულ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შედეგად მკვეთრად შემცირდა ნაძვის დიდი ლაფანჭამიას რაოდენობა და ეს მავნებელი ამჟამად დეპრესიულ მდგომარეობაშია, მიზანშეუწონლად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნაძვის დიდი ლაფანჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური საგანგებო კომისიის არსებობა და გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 11 აპრილის № 227 დადგენილების მე-2 პუნქტი და 1973 წლის 30 ოქტომბრის № 652 დადგენილება.

2. ნაძვის დიდი ლაფანჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავების კოორდინაცია, მეცნიერული შესწავლა, ამ ღონისძიებათა წარმოებაში დანერგვა და პრაქტიკული განხორციელება დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს.

3. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ ყოველწლიურად მეოთხე კვარტალის ბოლოს მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესრულებული სამუშაოებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 15 იანვარი, № 36

9 პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ყოველწლიური ოლიმპიადის, სპარტაკიადისა და შემოქმედებითი ნაკეთობების რესპუბლიკური გამოფენის მოწყობის შესახებ

პროფტექნიკური განათლების ქსელში ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ყოველწლიურად ჩატარდეს პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ოლიმპიადა (მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება), სპარტაკიადა და მოსწავლეთა მხატვრული ნაკეთობებისა და ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითოეულ ღონისძიებაში მონაწილეთა რიცხვი განსაზღვროს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა; დასკვნითი ტური მოეწყოს თბილისში.

2. დამტკიცდეს საქართველოს პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა რესპუბლიკური ღონისძიებების საორგანიზაციო კომიტეტის თანდართული შემადგენლობა.

3. საორგანიზაციო კომიტეტმა შექმნას ოპერატიული შტაბი და სათანადო კომისიები, რომელთა საშუალებით ქმედითი კონტროლი გაუწიოს ადგილებზე რესპუბლიკური ღონისძიებებისათვის მზადების დროულად გაშლას.

4. აღნიშნული ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო თანხები დადგენილი წესისა და ნორმების დაცვით გაიღოს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა მისთვის გამოყოფილი საერთო ასიგნებებიდან.

ფინანსური სიძნელეების შემთხვევაში საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინოს სათანადო წინადადება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისათვის დამატებითი თანხების გამოყოფის შესახებ.

5. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს საორგანიზაციო კომიტეტის განაცხადის საფუძველზე ფორტეპიანოებისა და სხვა საკრავების, რადიოგამაძლიერებლებისა და სხვა საჭირო მოწყობილობის, აგრეთვე სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის, სურათების სახელმწიფო გალერეის გამოყოფის საქმეში.

6. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ რესპუბლიკური მასობრივი ღონისძიებების ჩატარების დროს უზრუნველყოს მოსწავლეთა და მასწავლებელთა გადაყვანა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის განაცხადის მიხედვით.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა აღნიშნული ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარების საჭიროებისათვის გამოყონ ყოველწლიურად სათანადო მასალები, მოწყობილობა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად.

8. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა ფართო პროპაგანდა გაუწიონ პროფტექნიკური სასწავლებლების რესპუბლიკური ოლიმპიადის, სპარტაკიადისა და გამოფენის მომზადებასა და ჩატარებას.

9. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა საორგანიზაციო კომიტეტის დაკვეთით დაბეჭდოს საგუნდო სიმღერებისა და სხვა საწრეო მუშაობისათვის საჭირო მასალების კრებული.

10. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ქმედითი ზომები მოსწავლეთა ესთეტიკური და სპორტული აღზრდის გასაუმჯობესებლად, შექმნან ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები, დროულად შეიმუშაონ და შეასრულონ გეგმები რესპუბლიკური ღონისძიებების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 18 იანვარი, № 42

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 18 იანვრის № 42 დადგენილებით

შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ყოველწლიური ოლიმპიადის, სპარტაკიადისა და შემოქმედებითი ნაკეთობების რესპუბლიკური გამოფენის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტისა

(წარმომადგენლობა თანამდებობათა მიხედვით)

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.
საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.
საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის საზოგადოებრივი დისციპლინებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების ინსტრუქტორი.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილების გამგის მოადგილე.
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.
საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.
საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი.
საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.
საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.
საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე.
გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი.
გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი.
გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორი.
ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორი.
საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის პროფესიული მომზადების სამმართველოს უფროსი.
აღმოსავლეთ საქართველოს პროფტექნიკური განათლების ზონალური სამმართველოს უფროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ საქართველოს პროფტექნიკური განათლების ზონალური სამმართველოს უფროსი.

ქ. თბილისის პროფტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსი.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის საზოგადოებრივი დისციპლინებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

პროფტექნიკური განათლების მუშაკთა რესპუბლიკური კულტურის სახლის დირექტორი.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობაში განყოფილებათა შექმნის შესახებ

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 23 დეკემბრის № 757 დადგენილების შესასრულებლად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის აპარატის სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობაში:

ა) მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის განყოფილება;

ბ) სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, ვაჭრობისა და ფინანსების განყოფილება;

გ) მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება;

დ) საერთო განყოფილება;

ე) ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება.

აღნიშნული განყოფილებები შეიქმნას მუდმივი წარმომადგენლობისათვის 1980 წელს დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში.

2. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის თანდართული საშტატო განრიგი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟვანია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 23 იანვარი, № 57

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა შექმნის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 დეკემბრის № 1009 დადგენილების შესაბამისად შემუშავებული და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა შექმნის თანდართული წესი.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს შექმნან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებანი ამ დადგენილებით დამტკიცებული წესის ზუსტი შესაბამისობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 24 იანვარი, № 61

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 24 იანვრის № 61
დადგენილებით

წ ე ს ი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა შექმნისა

1. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებანი, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, შეიქმნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 დეკემბრის № 1009 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების დებულების შესაბამისად.

სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების შექმნამდე დაინტერესებულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა სამეურნეო ორგანოებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დახმარებით ყოველმხრივ უნდა შეისწავლონ შესაქმნელი გაერთიანების ორგანიზაციასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის გაერთიანების საწარმოთა და ორგანიზაციათა შემადგენლობის, მისი საწარმოო სპეციალიზაციისა და სიმძლავრის საკითხები, რაიონის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმის გათვალისწინებით.

2. კოლმეურნეობები გაერთიანებათა შემადგენლობაში შედიან კოლმეურნეთა საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების) გადაწყვეტილებით.

გადაწყვეტილებანი გაერთიანების შემადგენლობაში სხვა კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციათა შესვლის შესახებ მიიღება მათი წესდებების (დებულებების) შესაბამისად. სამეურნეობათაშორისო საწარმოები (ორგანიზაციები) გაერთიანების შემადგენლობაში შედიან სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მონაწილე მეურნეობების რწმუნებულ წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილებით. საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები — ზემდგომი ორგანოს თანხმობით.

3. დარგობრივი საწარმოო გაერთიანებანი შეიქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით:

ა) გაერთიანებანი, რომელთა შემადგენლობაში შედიან მხოლოდ კოლმეურნეობები, საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები და ორგანიზაციები, ან მხოლოდ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, ან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოები და ორგანიზაციები, — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარდგენით;

ბ) გაერთიანებანი, რომელთა შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოები და ორგანიზაციები, — საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარდგენით (სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ტერიტორიული საწარმოო გაერთიანებანი შეიქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ამ წესის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

5. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა შექმნის თაობაზე წინადადებათა განსახილველად წარდგენილ იქნება შემდეგი დოკუმენტები:

— შუამდგომლობა საწარმოო გაერთიანების შექმნის შესახებ;

— გაერთიანების საწარმოო საქმიანობის ორგანიზაციულ-ეკონომიკური დასაბუთება;

— კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) გადაწყვეტილება, სხვა კოოპერაციული საწარმოსა და ორგანიზაციის გადაწყვეტილება გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ, რომლებიც მიღებულია მათი წესდებების (დებულებების) შესაბამისად;

— სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მონაწილე მეურნეობების რწმუნებულ წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილება;

— ზემდგომი ორგანოს თანხმობა, თუ გაერთიანებაში შედის საბჭოთა მეურნეობა ან სხვა სახელმწიფო საწარმო და ორგანიზაცია;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 დეკემბრის № 1009 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების დებულების შესაბამისად შემუშავებული საწარმოო გაერთიანების წესდების პროექტი.

6. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა შექმნის თაობაზე წარდგენილი დოკუმენტების განსახილველად შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში შეიქმნება კომისიები ამ სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელ მუშაკთა და სპეციალისტთა შემადგენლობით.

7. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების საქმიანობის ცალკეულ სახეობებსა და დარგებს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ხელმძღვანელობას უწევს დადგენილი წესით გაერთიანების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე მთავარი საწარმოს მმართველობის აპარატი. ცალკეულ შემთხვევებში ამ მიზნით შეიძლება შეიქმნას მმართველობის ცალკე აპარატი.

მმართველობის ცალკე აპარატს შექმნის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებებისათვის მმართველობის აპარატის შესანახად დაწესებულ ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

8. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯები გაიღება მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ანარიცხებიდან, აგრეთვე, ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, — საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიაში ნაყიდი სამამულო წარმოებისა და იმპორტული. ფეხსაცმლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს და 1980 წლის 1 თებერვლიდან ძალაში შევიდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიაში ნაყიდი სამამულო წარმოებისა და იმპორტული ფეხსაცმლის გამოცვლის თანდართული წესები.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივლისის № 409 დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცალო ვაჭრობის ქსელში ნაყიდი ტყავის ფეხსაცმლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 24 იანვარი, № 64

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 24 იანვრის № 64
დადგენილებით

წ ე ს ე ბ ი

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიაში ნაყიდი სამამულო წარმოებისა და იმპორტული ფეხსაცმლის გამოცვლისა

1. მყიდველს უფლება აქვს მაღაზიაში ნაყიდი ტყავის, რეზინისა და სხვა ფეხსაცმელი გამოცვალოს მისი ყიდვის ადგილას.

2. მყიდველს უფლება ეძლევა 14 დღის განმავლობაში (ყიდვის დღის ჩაუთვლელად) გამოცვალოს ნაყიდი ხარისხოვანი როგორც სამამულო წარმოების ისევე იმპორტული ფეხსაცმელი, რომელიც არ გამოადგა მას ზომით, ფასონით, მოდელით, სისრულით ან ფერით, ანალოგიურ ან სხვა ფეხსაცმელზე იმ პირობით, თუ ფეხსაცმელი არ უხმარია და დააბრუნა დაუზიანებლად და გაუჭუჭყიანებლად მაღაზიის მიერ გაცემული სასაქონლო ან საკასო ჩეკთან ერთად. ხარისხიანი ფეხსაცმლისათვის ფული არ დაბრუნდება.

3. თუ სამამულო წარმოების ან იმპორტულ ნაყიდ ფეხსაცმელს აღმოაჩნდება ამ წესების № 1 და 3 დანართებში ჩამოთვლილი საწარმოო ხასიათის ერთი ან რამდენიმე დეფექტი, მყიდველს უფლება აქვს თავისი არჩევანით ფეხსაცმლის ტარების დაწესებული საგარანტიო ვადების განმავლობაში გამოცვალოს იგი ნებისმიერი მოდელის ფეხსაცმელზე, ან მიიღოს მისთვის გადახდილი ფულადი თანხა, ანდა ჩააბაროს მაღაზიას (სამამულო წარმოების ფეხსაცმელი) დამამზადებელი საწარმოს მიერ უფასოდ შეკეთებისათვის, იმ პირობით, თუ ეს საწარმო იმავე ქალაქში მდებარეობს, სადაც მაღაზია.

ფეხსაცმელს შესაკეთებლად გაგზავნის მაღაზია.

დამამზადებელმა საწარმომ ფეხსაცმლის დეფექტები უნდა აღმოფხვრას შესაკეთებლად ჩაბარებიდან არა უგვიანეს 7 დღის ვადისა.

4. სამამულო წარმოების ფეხსაცმლის ტარების დაწესებული საგარანტიო ვადები მოყვანილია ამ წესების № 2 და 4 დანართებში.

იმპორტული ფეხსაცმლის ტარების საგარანტიო ვადები წესდება უცხოეთის ფირმებთან დადებული კონტრაქტების პირობების შესაბამისად.

სახელმწიფო ან კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიებში ნაყიდი ფეხსაცმლის ტარების საგარანტიო ვადები გამოიანგარიშება ფეხსაცმლის ყიდვის დღიდან, ხოლო გამოცვლილი ფეხსაცმლისა — გამოცვლის დღიდან.

5. დროულად ნაყიდი სეზონური დანიშნულების სამამულო წარმოებისა და იმპორტული ფეხსაცმლის ტარების საგარანტიო ვადები გამოიანგარიშება რესპუბლიკის კლიმატური პირობების გათვალისწინებით საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ დაწესებული შესაბამისი სეზონების დაწყებიდან.

6. უხარისხო ფეხსაცმელი გამოიცვლება მყიდველის წერილობითი განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს მაღაზიის მიერ გაცემული სასაქონლო ან საკასო ჩეკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყიდველი გამოსაცვლელად წარადგენს გაუჭუჭყიანებელ ფეხსაცმელს.

იმ შემთხვევაში, თუ მყიდველმა დაკარგა სასაქონლო ან საკასო ჩეკი, აგრეთვე ფეხსაცმელი იყიდა ჩეკის მიუცემლად, ფეხსაცმლის გამოცვლის საკითხს განიხილავს და გადაწყვეტს მაღაზიის ადმინისტრაცია.

7. მყიდველის მიერ სამამულო წარმოების უხარისხო ფეხსაცმლის წარდგენისას მაღაზიის ადმინისტრაცია მოვალეა მისი თანდასწრებით განიხილოს განცხადება და გამოუცვალოს ფეხსაცმელი ან უთხრას დასაბუთებული უარი. მყიდველის გაგზავნა ფეხსაცმლის ხარისხის თაობაზე პრეტენზიებით უშუალოდ დამამზადებელ საწარმოში აკრძალულია.

8. თუ მყიდველი და მაღაზიის ადმინისტრაცია სხვადასხვა აზრის არიან სამამულო წარმოების ნაყიდი ფეხსაცმლის დეფექტების ხასიათსა და მიზეზებზე, მაღაზია მოვალეა 5 დღის ვადაში გაგზავნოს ეს ფეხსაცმელი ექსპერტიზისათვის და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს მყიდველს ექსპერტიზის აქტის მიღებიდან სამი დღის ვადაში.

ექსპერტს გამოიძახებს მაღაზია.

9. იმპორტულ ფეხსაცმელს, რომელმაც ვერ გაუძლო დაწესებულ საგარანტიო ვადებს, მყიდველის განცხადებასთან, საკასო ან სასაქონლო ჩეკთან ერთად მაღაზია 5 დღის ვადაში გაგზავნის ექსპერტიზისათვის. ექსპერტიზის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება მყიდველს ექსპერტიზის აქტის მიღებიდან 3 დღის ვადაში.

10. სამამულო წარმოებისა და იმპორტული უხარისხო ფეხსაცმლის სხვა მოდელის ფეხსაცმელზე გამოცვლის შემთხვევაში მყიდველთან მოხდება შესაბამისი გადაანგარიშება ყიდვის დროს გადახდილი ფულადი თანხის მიხედვით.

11. უხარისხო ფეხსაცმლისათვის კუთვნილი ფულადი თანხის მყიდველისათვის დაბრუნებისას მაღაზიას უფლება არა აქვს დაუკავოს ფულადი თანხის ნაწილი მყიდველის მიერ ფეხსაცმლის ტარების დროის განმავლობაში მისი ხარისხის დაკარგვის შესაბამისად.

12. არ გამოიცვლება ან უფასოდ არ შეკეთდება ფეხსაცმელი, რომელიც:

გაცვეთილია; აქვს დეფექტები, რაც წარმოიშვა მისი დანიშნულებისათვის მეუფერებელ პირობებში ექსპლუატაციის შედეგად; აქვს მექანიკური დაზიანებანი (დამწვრობა, განაჭერი, აგლეჯა და სხვ.), დეფორმირებულია არასწორი ტარების, გაშრობის შედეგად, დაკარგული აქვს ხარისხი ქიმიური ზემოქმედების გამო, და აქვს სხვა დეფექტები, რაც წარმოიშვა მყიდველის მიზეზით;

მყიდველის მიერ შეკეთებულია მაღაზიისათვის წარდგენამდე (ქუსლსაკრავის გამოცვლის, ლითონის ნაწიბურების მიმაგრების, პროფილაქტიკური ლანჩის მიწებების გარდა, თუ ასეთ შეკეთებას არ გამოუწვევია დეფექტები);

ნაყიდია საკომისიო მაღაზიებში, აგრეთვე ჩამოფასებულია.

* *
*

ფეხსაცმლის სავაჭრო ყველა მაღაზიას უნდა ჰქონდეს ფეხსაცმლის გამოცვლის წესები და გამოაკრას მისი სრული ტექსტი სავაჭრო დარბაზებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაცია მოვალეა ფეხსაცმლის სავაჭრო მაღაზიის ყველა მუშაკს ხელწერილით გააცნოს ფეხსაცმლის გამოცვლის წესები, რეგულარულად შეამოწმოს, იციან თუ არა მათ ეს წესები და იცავენ თუ არა ისინი ამ წესებს მყიდველთა მომსახურებისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 24 იანვრის № 64 დადგენილებით დამტკიცებული ფეხსაცმლის გამოცვლის წესების დანართი № 1

ნ უ ს ხ ა

სამამულო წარმოებისა და იმპორტული ტყავის ფეხსაცმლის (მამაკაცის, ქალისა და სხვა ასაკობრივი ჯგუფებისა) საწარმოო ხასიათის დეფექტებისა, რომლებიც იძლევა მისი გამოცვლის უფლებას

სახელმწიფო ან კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიაში ნაყიდი სამამულო წარმოებისა და იმპორტული ტყავის ფეხსაცმელი უნდა გამოიცვალოს ფეხსაცმლის გამოცვლის წესების მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ ფეხსაცმლის ტარების დაწესებული საგარანტიო ვადების პერიოდში აღმოჩნდა საწარმოო ხასიათის შემდეგი დეფექტები:

ფეხსაცმლის გარე პირზე: ქრომის ტყავის შეღებვის არამდგრადობა მშრალი და სველი ხახუნისადმი; საღებარის ჩამოფხვნა; ნატურალური და ხელოვნური ტყავის ლაქის აფსკის ბზარები; თეთრ და ღია ფერის ტყავზე ლაქების წარმოქმნა; გამჭოლი ბზარები; ძაფით ნაკერების გარღვევა; გარე პირის დეტალების გაგლეჯა ნაწიბურზე და დეტალების შემაერთებელ ნაკერზე; წარმოების პროცესში დაშვებული გამჭოლი განაჭერები; ფეხსაცმლის ტყავბეწვიდან თმის საფარის ამოცვივნა უხახუნო ადგილებში; გარე პირის დეტალების ნაკერზე გაწყვეტა; ზონრის საკოჭის ნაწიბურის გამოძრობა; გასაწყობი და სამაგრი ფურნიტურის მოწყვეტა; „ელვა“-შესაკრავის გატეხვა; ქუსლის გადასაკრავის დეფორმაცია (გარდა მექანიკური დაზიანებისა);

ფეხსაცმლის ძირზე: ლანჩის გადატეხვა, გამოფხვნა, განშრევება, მოწყვეტა, გამჭოლი გაცვეთა და აძრობა; რანტის მოწყვეტა; რისის აძრობა; ქუსლის გადატეხვა, გახეთქვა, მოშორება; ქუსლსაკრავის მოწყვეტა მილისის დაზიანებით;

ფეხსაცმლის შინაგან დეტალებზე: საწარმოო მიზეზებით გამოწვეული ღაბაშის გადატეხვა, დაბრეცვა, დაშლა; გამონაბორცვები ღაბაშზე; სარჩულის გაუკერავობა; სარჩულის გარღვევა, გაცვეთა; სარჩულის ან ამონაგის მოძრაობა ან გაწყვეტა; სუპინატორის გადატეხვა; სარჩულის ან უსარჩულო ფეხსაცმლის გლემურძის მხარის შეღებვის არამდგრადობა მშრალი ან სველი ხახუნისადმი; ცხვირქვეშას დეფორმაცია; საქუსლარის ჩაჯდომა და დეფორმაცია, აგრეთვე დეფექტები, რომლებიც აზიანებენ ტერფს (ჩაუთლელი ნაპირები, ამოუვსებელი სამაგრები და სხვ.).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 24 იანვრის № 64 დადგენილებ-
ლებით დამტკიცებული ფეხსაცმლის გა-
მოცვლის წესების დანართი № 2

ცხრილი

სამამულო წარმოების ტყავის ფეხსაცმლის (მამაკაცის, ქალისა და სხვა ასაკობრივი ჯგუფებისა) ტარების საგარანტიო ვადებისა

ფეხსაცმლის სახეობა	ფეხსაცმლის ტარების საგარანტიო ვადები დღეყოველის დღიდან (გამოცვლილი ფეხსაცმლისა გამოცვლის დღიდან)		
		ხარისხის-ნიშნიანი	დაწესებულია სახელმწიფო სტანდარტებით, დარგობრივი სტანდარტებით, ტექნიკური პირობებით
იუხტის ფეხსაცმელი:			
რეზინის ლანჩით — მამაკაცისა და ქალის	70	80	სახელმწიფო სტანდარტი 5394-74
— დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფებისათვის	50	45	
ტყავის ლანჩით	40	50	
მექანიკური წარმოების ფეხსაცმელი (ქრომის, ხელოვნური და სინთეზური ტყავის, ქსოვილის გარე პირით) და კომბინირებული ფეხსაცმელი (ზემოაღნიშნული მასალებისა):			სახელმწიფო სტანდარტი 179-74
ტყავის ლანჩით	40	45	
რეზინის (ტყავვოლონი, სტირონიტი. ტრანსპორანტი, პოლივინილქლორიდი) ლანჩით	60	70	
ფოროვანი რეზინის. პოლიურეტანის ლანჩით			
— მამაკაცისა და ქალისა	70	80	
— დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფებისათვის და რეზინგადაკრული ტყავის ლანჩით	45	50	
მოდელური ფეხსაცმელი:			
ტყავის ლანჩით	50	60	სახელმწიფო სტანდარტი 19116-73
ტყავისმაგვარი რეზინისა და სხვა სახეობათა რეზინის ლანჩით	70	80	

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხსაცმლის სახეობა	ფეხსაცმლის ტარების საგარანტიო ვადები დღეყოფვის დღიდან (გამოცვლილი ფეხსაცმლისა გამოცვლის დღიდან)		
		ხარისხის — ნიშნიანი	დაწესებულია სახელმწიფო სტანდარტებით, დარგობრივი სტანდარტებით, ტექნიკური პირობებით
ფოროვანი რეზინის, პოლიურეტანის ლანჩით	80	90	
ჩექმა, დაბალყელიანი ჩექმა და ყელიანი ფეხსაცმელი ხელოვნური მასალების გარე პირით:			დარგობრივი სტანდარტი 17-156-72
ტყავის ლანჩით	40	45	
რეზინის (ტყავვოლონი, სტირონიტი, პოლივინილქლორიდი) ლანჩით	60	70	
ფოროვანი რეზინის ლანჩით:			
— მამაკაცისა და ქალისა	70	80	დარგობრივი სტანდარტი 17-156-72
— დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფებისათვის და რეზინგადაკრული ტყავის ლანჩით	45	55	
გაუმჯობესებული ხარისხის მამაკაცისა და ქალის ფეხსაცმელი სინთეზური ტყავის გარე პირით:			ტექნიკური პირობები 17-1189-7
ტყავის ლანჩით	40	45	
რეზინის (ტყავვოლონი, სტირონიტი) ლანჩით	60	70	
ფოროვანი რეზინის, პოლიურეტანის ლანჩით	70	80	
საშინაო და მსუბუქი ფეხსაცმელი:			სახელმწიფო სტანდარტი 1135-78
ტყავის ლანჩით — ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის	30	35	
რეზინის ლანჩით — მამაკაცისა და ქალისა	60	65	
რეზინის ლანჩით — ყველა დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფისათვის, აგრეთვე ბავშვთა და ჩვილ ბავშვთა რეზინგადაკრული	35	45	
პოლივინილქლორიდის ლანჩით — ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის, ბავშვთა და ჩვილ ბავშვთა ფეხსაცმლის გარდა	60	70	

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხსაცმლის სახეობა	ფეხსაცმლის ტარების საგარანტიო ვადები დღეყიდვის დღიდან (გამოცვლილი ფეხსაცმლისა გამოცვლის დღიდან)		
		ხარისხის—ნიშნიანი	დაწესებულია სახელმწიფო სტანდარტებით, დარგობრივი სტანდარტებით, ტექნიკური პირობებით
მასობრივი წარმოების სპორტული ფეხსაცმელი:			
სათხილამურო — ტყავის ლანჩით	45	—	სახელმწიფო სტანდარტი 7472-№8
მოკრივეთათვის — ტყავის რეზინის ლანჩით	40	45	დარგობრივი სტანდარტი 17-491-75
მძლეოსანთათვის — ტყავის. რეზინის ლანჩით	45	50	დარგობრივი სტანდარტი 17-492-75
შაიბიანი და ბურთიანი ჯოკეის სათამაშოდ — ტყავის ლანჩით	45	50	დარგობრივი სტანდარტი 17-493-75
ტურისტული — რეზინის ლანჩით	40	—	დარგობრივი სტანდარტი 17-434-72
ყელიანი ფეხსაცმელი:			
ფეხბურთის სათამაშოდ — ტყავის, რეზინის, პლასტიკური მასების ლანჩით	40	—	სახელმწიფო სტანდარტი 7458-68
საციგურაოდ — ტყავის, რეზინის ლანჩით	40	—	სახელმწიფო სტანდარტი 13745-68
ფიგურული ციგურაობისათვის ტყავის ლანჩით	40	—	სახელმწიფო სტანდარტი 13796-68
ტუფლები:			
საკროსე — ფოროვანი რეზინის ლანჩით	30	—	ტექნიკური პირობები 17-6002-73
რეზინიანი სატანვარჯიშო—ტყავის ლანჩით	30	35	დარგობრივი სტანდარტი 17-315-74
ველოსიპედისტთა			დარგობრივი სტანდარტი 17-315-74
ტყავის ლანჩით	40	50	
რეზინის ლანჩით	70	80	

შენიშვნები: 1. სამამულო წარმოების ლაქის ფეხსაცმელი, რომელზეც შეიმჩნევა ლაქის გარე პირის გარე ფენის დასკდომა, გამოიცვლება 30 დღის ვადაში.

2. იმპორტული ტყავის ფეხსაცმლის ტარების საგარანტიო ვადები წესდება უცხოეთის ფირმებთან დადებული კონტაქტების პირობების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 24 იანვრის № 64 დადგენილებით დამტკიცებული ფეხსაცმლის გამოცვლის წესების დანართი № 3

ნ უ ს ხ ა

სამამულო წარმოებისა და იმპორტული რეზინის ფეხსაცმლის (მამაკაცის, ქალისა და სხვა ასაკობრივი ჯგუფებისა) საწარმოო ხასიათის დეფექტებისა, რომლებიც იძლევა მისი გამოცვლის უფლებას

სახელმწიფო ან კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიაში ნაყიდი სამამულო წარმოებისა და იმპორტული რეზინის ფეხსაცმელი უნდა გამოიცვალოს ფეხსაცმლის გამოცვლის წესების მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ ფეხსაცმლის ტარების დაწესებული საგარანტიო ვადების პერიოდში აღმოჩნდა საწარმოო ხასიათის შემდეგი დეფექტები:

ფეხსაცმლის გარე პირზე და ძირზე: წყალშეღწევადობა; გოგირდის გამოჩენა; რეზინიდან გარეშე ჩანართების ამოვარდნა; ლანჩისა და ქუსლის მოშორება; რეზინის გასაწყობი დეტალების აშრევება; ქსოვილის გარეპირიანი ფეხსაცმლის წინა და უკანა ნაკერის გარღვევა; გასაწყობი და სამაგრი ფურნიტურის მოწყვეტა; რეზინის საკავშის ქვედა ნაწილის მოშორება; რეზინის ბზარები, რაც იწვევს წყალშეღწევადობას; ლანჩის, საპირე რეზინის, ქუსლის, საქუსლარის მთლიანად გაცვეთა;

ფეხსაცმლის შინაგან დეტალებზე; სარჩულის მოშორება რეზინზე; სარჩულის მოცილება ფერად ღაბაშთან; სარჩულისა და ღაბაშის გარღვევა; ღაბაშის გაცვეთა; რეზინის მოშორება ქსოვილის საქუსლარზე კალოშებში; სარჩულის გაცვეთა გახვრეტამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 24 იანვრის № 64 დადგენილებით დამტკიცებული ფეხსაცმლის გამოცვლის წესების დანართი № 4

ცხრილი

სამამულო წარმოების რეზინის ფეხსაცმლის (მამაკაცის, ქალისა და სხვა ასაკობრივი ჯგუფებისა) ტარების საგარანტიო ვადებისა

ფეხსაცმლის სახეობა	ფეხსაცმლის ტარების საგარანტიო ვადები დღეებში ყიდვის დღიდან (გამოცვლილი ფეხსაცმლისა — გამოცვლის დღიდან)		
		ხარისხის ნიშნიანი	დაწესებულია სახელმწიფო სტანდარტებით, დარგობრივი სტანდარტებით, ტექნიკური პირობებით
რეზინის გალაქული კალოში დაწებებული)	90	90	სახელმწიფო სტანდარტი 126-71
რეზინის გალაქული კალოში (დაშტამპული)	90	—	სახელმწიო სტანდარტი 8679-58
რეზინის გაულაქავი კალოში, უსარჩულო (დაწესებული და ფორმიანი) .	60	70	ტექნიკური პირობები 38-10624-75
რეზინისა და რეზინ-ქსოვილის ბოტი და ჩექმა (დაწებებული)	99	90	სახელმწიო სტანდარტი 6410-72
ქსოვილის ბოტი რეზინის საკავშის ქვედა ნაწილითა და ლანჩით . . .	75	—	სახელმწიო სტანდარტი 14037-68
პოლივინილქლოროდის პლასტიკატის ფეხსაცმელი	90	90	ტექნიკური პირობები 38-106172-77
პოლივინილქლორიდის პლასტიზოლის ფეხსაცმელი	30	—	ტექნიკური პირობები 38-106266-71
ქსოვილის, ხელოვნური და ტყავის მასალის ფეხსაცმელი ქაფპოლიურეტანის საკავშის ქვედა ნაწილითა და ლანჩით	75	—	ტექნიკური პირობები 38-106173-77
რეზინისა და რეზინ-ქსოვილის სპორტული ფეხსაცმელი (ფორმიანი) . . .	60	70	სახელმწიო სტანდარტი 9155-70
წნევით ჩამოსხმის მეთოდით დამზადებული რეზინის სპორტული ფეხსაცმელი	75	—	სახელმწიო სტანდარტი 9155-70
რეზინის სანდლები აუზისათვის .	60	75	ტექნიკური პირობები 38-00618-75
რეზინის ჩექმა (ფორმიანი) . . .	90	90	სახელმწიო სტანდარტი 5375-79
რეზინის გაულაქავი ჩექმა (დაწებებული)	ექვსი თვე	—	ტექნიკური პირობები 38-006245-76

შენიშვნა: იმპორტული რეზინის ფეხსაცმლის ტარების საგარანტიო ვადები წესდება უცხოეთის ფირმებთან დადებული კონტრაქტების პირობების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 სამრეწველო პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების საქმეში მისი ატესტაციის როლის შემდგომი გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და ტექნიკური დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა. რესპუბლიკაში სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის 2 ათასზე მეტი დასახელების ნაკეთობანი, რომელთა ხვედრითი წონა გამოშვებული მთლიანი პროდუქციის საერთო მოცულობაში 18 პროცენტს შეადგენს.

ამასთანავე ზოგიერთი საწარმო მთლიანად ვერ იყენებს პროდუქციის ატესტაციას, როგორც გამოშვებულ ნაკეთობათა ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების, მათი წარმოების ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის სრულყოფის დიდმნიშვნელოვან საშუალებას. რესპუბლიკის 200-ზე მეტი საწარმო დღემდე არ უშვებს სახელმწიფო ხარისხისნიშნიან პროდუქციას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 დეკემბრის № 1093 დადგენილების შესაბამისად სამრეწველო პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების საქმეში მისი ატესტაციის როლის შემდგომი გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1979 წლის 11 დეკემბრის № 1093 დადგენილებით „სამრეწველო პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების საქმეში მისი ატესტაციის როლის შემდგომი გაძლიერების შესახებ“:

— დაავალა სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უზრუნველყონ სამრეწველო პროდუქციის ატესტაციისათვის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, სრულად გამოიყენონ ატესტაცია პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ყოველმხრივი ობიექტური შეფასებისათვის, მაღალხარისხოვან ნაკეთობათა წარმოების შემდგომი გაფართოებისა და პროდუქციის სისტემატური განახლებისათვის;

— დააწესა, რომ ხარისხის სამი კატეგორიის (უმაღლესი, პირველი და მეორე) მიხედვით ატესტაციას ექვემდებარება სამრეწველო პროდუქცია, რომელსაც მუდმივად უშვებენ საწარმოები და ორგანიზაციები დამამზადებელი სამინისტროს (უწყების) მიერ განსაზღვრული და სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტთან ან სსრ კავშირის სახმშენთან (შესაბამისი ნომენკლატურისათვის), აგრეთვე სსრ კავშირის სახმომარაგებასთან (ამ კომიტეტის მიერ გასანაწილებელი პროდუქციისათვის) და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან (სახალხო მოხმარების საქონლისათვის) შეთანხმებული ნუსხის შესაბამისად.

ცალკეულ შემთხვევებში დამამზადებელ სამინისტროებს (უწყებებს) აღნიშნული ნუსხის ნაცვლად შეუძლიათ განსაზღვრონ ასეთივე წესით იმ პროდუქციის ნუსხა, რომელიც ატესტაციას არ ექვემდებარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ყველა შემთხვევაში ატესტაციას არ ექვემდებარება პროდუქცია, რომელსაც არ გაუვლია სამრეწველო გადამუშავება; მხოლოდ თავდაცვის საჭიროებისათვის მისაწოდებელი პროდუქცია და საავიაციო მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ თავდაცვის სამინისტროსთან და სამოქალაქო ავიაციის სამინისტროსთან შეთანხმებული ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით დასამზადებელი პროდუქცია; სათადარიგო ნაწილები და საკომპლექტებელი ნაკეთობანი წარმოებიდან მოხსნილი პროდუქციისათვის; კვების პროდუქტები, სამედიცინო დანიშნულების პროდუქცია, პარფიუმერია-კოსმეტიკის საქონელი; ავტორის შესრულებით ან უმეტესად ხელის შრომით დამზადებული საიუველირო ნაკეთობანი; მხატვრული რეწვის ნაკეთობანი, წიგნის პროდუქცია და ხელოვნების ნაწარმოებნი.

ახალასათვისებელი პროდუქციის ატესტაცია უნდა მოეწყოს მისი სერიული წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს ერთი წლისა, ხოლო განსაკუთრებით რთული პროდუქციისა — არა უგვიანეს ორი წლისა. სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს უფლება აქვს გაადიდოს ცალკეულ შემთხვევებში ეს ვადა.

აღნიშნულ ვადებში ატესტაციის ჩატარებამდე ასეთი პროდუქცია უნდა აღირიცხოს როგორც პროდუქცია, რომელიც ატესტაციას არ ექვემდებარება;

— დააწესა, რომ სამრეწველო პროდუქციის ატესტაციისათვის მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევენ დამამზადებელი სამინისტროები (უწყებები);

— საჭიროდ მიიჩნია ხარისხის უმაღლეს კატეგორიას მიეკუთვნოს პროდუქცია, რომელიც ტექნიკური დონისა და ხარისხის მაჩვენებლების მიხედვით სჯობს ან შეესაბამება საუკეთესო სამამულო და საზღვარგარეთულ მიღწევებს, განსაზღვრავს ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობაში, უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ამაღლებას, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიას, ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და კონკურენტუნარიანია საგარეო ბაზარზე;

ამ პროდუქციას უნდა ახასიათებდეს ტექნიკური დონისა და ხარისხის სტაბილური მაჩვენებლები, რასაც საფუძვლად უდევს ტექნოლოგიური დისციპლინის განუხრელი დაცვა და წარმოების მაღალი კულტურა.

პროდუქციის ატესტაციის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მისი მხატვრულ-ესთეტიკური მაჩვენებლები და მახასიათებლები, ხოლო მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ატესტაციის დროს — აგრეთვე მოდის მოთხოვნები და შესაბამისობა დამტკიცებული ნიმუშებისადმი (ეტალონებისადმი).

ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციისათვის დამამზადებელმა უნდა უზრუნველყოს როგორც წესი, საიმედოობის, ხანგამძლეობისა და ხარისხის სხვა მაჩვენებლების გადიდებული გარანტიები.

ხარისხის უმაღლესი კატეგორიის სამრეწველო პროდუქცია სახელმწიფო ხარისხის ნიშნით აღინიშნება სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი წესით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დააწესა, რომ სამრეწველო პროდუქცია ხარისხის უმაღლეს კატეგორიას მიეკუთვნება ერთიდან სამ წლამდე ვადით, მათ შორის მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია — ერთიდან ორ წლამდე ვადით

ცალკეულ შემთხვევებში დამზადებისა და მონტაჟის ხანგრძლივციკლიანი საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების განსაკუთრებით რთულ პროდუქციას ხარისხის უმაღლესი კატეგორია მიეკუთვნება ხუთ წლამდე ვადით;

— დააწესა, რომ სამრეწველო პროდუქციას ხარისხის უმაღლეს კატეგორიას მიაკუთვნებს სახელმწიფო საატესტაციო კომისია, რომელსაც შექმნის დამამზადებელი სამინისტრო (უწყება).

კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს მინისტრი (უწყების ხელმძღვანელი) ან მისი მოადგილე. კომისიის შემადგენლობაში შედიან საატესტაციო პროდუქციის შემკვეთი (ძირითადი მომხმარებელი) სამინისტროს (უწყების), ამ პროდუქციის წარმოებაში მთავარი (წამყვანი) სამინისტროს (უწყების), პროდუქციის დამამზადებელი სამინისტროს (უწყების), სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის ან სსრ კავშირის სახმშენის (შესაბამისი ნომენკლატურისათვის), საგარეო ვაჭრობის სამინისტროს (საექსპორტო ან ექსპორტისათვის პერსპექტიული პროდუქციისათვის), სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს (სახალხო მოხმარების საქონლისათვის), მოკავშირე რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს (სახალხო მოხმარების საქონლის შეთანხმებული ნომენკლატურისათვის) და საკავშირო პროფსაბჭოს ან პროფკავშირის შესაბამისი ცენტრალური კომიტეტის (პროდუქციისათვის, რომელსაც წაეყენება მოთხოვნები შრომის უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გამო) წარმომადგენლები.

საჭიროების კვალობაზე სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნებიან სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები;

— დაავალა სამინისტროებსა და უწყებებს სისტემატურად განიხილონ სახელმწიფო საატესტაციო კომისიებში თავიანთ წარმომადგენელთა მუშაობის შედეგები და მიიღონ ზომები ხარისხის უმაღლესი კატეგორიისათვის პროდუქციის მიკუთვნების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ობიექტურობისათვის მათი პერსონალური პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად;

— დააწესა, რომ დამამზადებელი სამინისტროს (უწყების) ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე განიხილავს სახელმწიფო საატესტაციო კომისიის მიერ წარდგენილ მასალებს ხარისხის უმაღლესი კატეგორიისათვის პროდუქციის მიკუთვნების შესახებ და წყვეტს საკითხს, რომ დამამზადებელ საწარმოს (ორგანიზაციას) მიეცეს შესაბამისი მოწმობა მისი ხელმოწერით.

გადაწყვეტილება ხარისხის უმაღლესი კატეგორიისათვის პროდუქციის მიკუთვნების შესახებ ძალაში შედის სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებში მისი რეგისტრაციის დღიდან;

— დაავალა სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტე-

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის, სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის და სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით 6 თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ხარისხის სამი კატეგორიის მიხედვით სამრეწველო პროდუქციის ატესტაციის ჩატარების წესი, რომელიც სავალდებულოა ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის:

— დაავალა დამამზადებელ სამინისტროებს, უწყებებსა და საწარმოებს (ორგანიზაციებს) მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული რესურსები ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოებისათვის.

— დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახმომარაგებას გამოყონ დადგენილი წესით სამინისტროთა და უწყებათა განაცხადების მიხედვით ნედლეული, მასალები, საკომპლექტებელი ნაკეთობანი და სხვა მატერიალური რესურსები ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების დაწესებული გეგმების შესრულებისათვის საჭირო ოდენობითა და ასორტიმენტით;

— დაავალა რამდენიმე სამინისტროს (უწყების) საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში მთავარ (წამყვან) სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ ზემოაღნიშნული სამინისტროები (უწყებები) ანალოგიური სამამულო და საზღვარგარეთული ნიმუშების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამსახველი ინფორმაციით, აგრეთვე პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის შეფასებისათვის საჭირო სხვა საცნობარო-საინფორმაციო მასალებით;

— აღნიშნა, რომ კვების პროდუქტების თვისება და ხარისხიანობა განისაზღვრება სტანდარტებითა და ტექნიკური პირობებით;

— დაავალა სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან და „ცენტროსოიუზთან“ ერთად 6 თვის ვადაში განსაზღვრონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის № 695 დადგენილების შესაბამისად მოცემული დარგისათვის დაწესებული ხარისხებისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით კვების პროდუქტების ხარისხის შეფასების წესი;

— დაავალა სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დააზუსტონ სამრეწველო პროდუქციის ატესტაციის თაობაზე მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგება, ამასთან გაითვალისწინონ, რომ ხარისხის მეორე კატეგორიის მიხედვით ატესტაციის დროს ამ კატეგორიისათვის მიკუთვნებულ პროდუქციასთან ერთად აღირიცხება ის პროდუქცია, [illegible];

— დააწესა, რომ გეგმის შესრულების შეფასებისას ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების მოცულობა მიეკუთვნება სასაქონლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობას, ხოლო საწარმოების, ორგანიზაციებისა და რეგიონების საქმიანობის შედარებისას — იმ პროდუქციის წარმოების მოცულობას, რომელიც ატესტაციას ექვემდებარება;

— ძალადაკარგულად ჩათვალა:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 2 ივნისის № 402 დადგენილება „სამრეწველო პროდუქციის ხარისხის სახელმწიფო ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ“;

მე-9 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 10 აგვისტოს № 630 დადგენილებით დამტკიცებული ცვლილებებისა, რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში ფასებისა და ტარიფების დადგენისა და გამოყენების ახალი წესის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

2. დაევალოთ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის და რესპუბლიკის სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით მეთოდური და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ რესპუბლიკის ყველა სამინისტროსა და უწყებას ხარისხის სამი კატეგორიის მიხედვით სამრეწველო პროდუქციის ატესტაციის ახალი წესის შემუშავებისა და დანერგვის საქმეში.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 16 ივლისის № 678 განკარგულება..

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 24 იანვარი, № 66

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 „სამრეწველო საწარმოს (გაერთიანების) ტექნიკური კონტროლის განყოფილების (სამმართველოს) ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 დეკემბრის № 1094 დადგენილების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1979 წლის 11 დეკემბრის № 1094 დადგენილებით:

— დაამტკიცა თანდართული ტიპობრივი დებულება სამრეწველო საწარმოს (გაერთიანების) ტექნიკური კონტროლის განყოფილების (სამმართველოს) შესახებ;

— დაავალა სამინისტროებსა და უწყებებს 6 თვის ვადაში შეიმუშაონ აღნიშნული ტიპობრივი დებულების საფუძველზე და დაამტკიცონ დებულება სამინისტროს (უწყების)) სისტემის სამრეწველო საწარმოს (გაერთიანების) ტექნიკური კონტროლის განყოფილების (სამმართველოს) შესახებ, საქვეუწყებო საწარმოების (გაერთიანებების) მუშაობის თავისებურებათა გათვალისწინებით;

— ურჩია „ცენტროსოიუზის“ გამგეობასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალურ ორგანოებს, რომლებსაც აქვთ სამრეწველო საწარმოები, განსაზღვრონ საქვეუწყებო სამრეწველო საწარმოებში ტექნიკური კონტროლის განხორციელების წესი აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული ტიპობრივი დებულების მიხედვით;

— ძალადაკარგულად ჩათვალა მე-6 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 ივლისის № 718 დადგენილებისა „სამრეწველო პროდუქციის ხარისხისადმი ტექნიკური კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 28 აგვისტოს № 615 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 24 იანვარი, № 67

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979
წლის 11 დეკემბრის № 1094 დადგენილებით

ტიპობრივი დებულება

სამრეწველო საწარმოს (გაერთიანების) ტექნიკური კონტროლის განყოფილების (სამმართველოს) შესახებ

1. ტექნიკური კონტროლის განყოფილება (სამმართველო)* არის, როგორც წესი, სამრეწველო საწარმოს (გაერთიანების) დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი. საწარმოს (გაერთიანების) საამქროთა და სხვა ქვედანაყოფთა ყველა მუშაკი, რომლებიც მხოლოდ ტექნიკური კონტროლით არიან დასაქმებული, შედიან ტექნიკური კონტროლის განყოფილების შემადგენლობაში.

თუ საწარმოს (გაერთიანების) სტრუქტურაში გათვალისწინებულია პროდუქციის ხარისხის კონტროლით დასაქმებული სხვა ქვედანაყოფები ან ისინი შექმნილი არაა, ამ ტიპობრივ დებულებაში აღნიშნული მოვალეობანი, უფლებანი და პასუხისმგებლობა ვრცელდება ზემოაღნიშნულ ქვედანაყოფებზე ან პირებზე, რომლებსაც დაკისრებული აქვთ პროდუქციის ხარისხის ტექნიკური კონტროლი.

2. ტექნიკური კონტროლის განყოფილების მთავარი ამოცანები ის არის, რომ თავიდან აიცილოს საწარმოს (გაერთიანების) მიერ ისეთი პროდუქციის გამოშვება (მიწოდება), რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნებს, დამტკიცებულ ნიმუშებს (ეტალონებს), საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ დოკუმენტაციას, მიწოდებისა და ხელშეკრულებათა პირობებს, ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება (მიწოდება) **, აგრეთვე განამტკიცოს საწარმოო დისციპლინა და გაძლიეროს წარმოების ყველა რგოლის პასუხისმგებლობა გამოსაშვები პროდუქციის ხარისხისათვის.

3. საწარმოს (გაერთიანებას) შეუძლია გაასაღოს მხოლოდ ტექნიკური კონტროლის განყოფილების მიერ მიღებული ან თვითკონტროლის პირობებში მომუშავე პირთა მიერ დამზადებული პროდუქცია. პროდუქციაზე უნდა გაფორმდეს სერტიფიკატი, პასპორტი, ფორმულარი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ ეს პროდუქცია შეესაბამება დაწესებულ მოთხოვნებს.

4. ტექნიკური კონტროლის სისტემა (კონტროლის ობიექტები, საკონტროლო ოპერაციები და მათი თანამიმდევრობა, საკონტროლო ოპერაციების ტექნიკური აღჭურვა, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის რეჟიმები, მეთოდები, საშუალებანი) საწარმოო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც წარმო-

---

* შემდგომ — „ტექნიკური კონტროლის განყოფილება".

** შემდგომ — „დაწესებული მოთხოვნები".

ების ტექნოლოგიის შემუშავებასთან ერთად შეიმუშავებენ (განსაზღვრავენ) საწარმოს (გაერთიანების) მთავარი ტექნოლოგის (მთავარი მეტალურგის, მთავარი ქიმიკოსის და ა. შ.) სამსახური ან შესაბამისი საპროექტო-ტექნოლოგიური ორგანიზაციები ტექნიკური კონტროლის განყოფილების მონაწილეობით ან თანხმობით, და აუცილებლად ფიქსირდება დამტკიცებულ ტექნოლოგიურ პროცესებში.

5. ტექნიკური კონტროლის განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს ტექნიკური კონტროლის სისტემის, როგორც პროდუქციის ხარისხის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის, განვითარებასა და სრულყოფას საწარმოში (გაერთიანებაში), რისთვისაც:

ეწევა სისტემატურ მუშაობას ტექნიკური კონტროლის სისტემის ეფექტიანობის გასაანალიზებლად, მდარეხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების მიზეზების აღმოსაფხვრელად, მომხმარებელთათვის ასეთი პროდუქციის მიწოდების შესაძლებლობის აღსაკვეთად, აგრეთვე ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად;

უზრუნველყოფს და ახორციელებს პროდუქციის ხარისხის კონტროლისა და შეფასების პროგრესული მეთოდების, მათ შორის აქტიური კონტროლის, კონტროლის უვნებელი, ავტომატური და სტატისტიკური მეთოდების, აგრეთვე ტექნოლოგიურ პროცესთა რეგულირების, პროდუქციის ხარისხის ანალიზისა და შეფასების სტატისტიკური მეთოდების, საკონტროლო ოპერაციების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა დანერგვას;

ბ) ახორციელებს საწარმოში (გაერთიანებაში) ძირითადი წარმოებისათვის მიღებული ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, საკომპლექტებელი ნაკეთობებისა და ინსტრუმენტის საწყის კონტროლს, დაწესებული მოთხოვნებისადმი მათი შესაბამისობის კონტროლს საწყობიდან წარმოებაში და საამქროდან საამქროში გადაცემისას, საოპერაციო კონტროლს, მზა პროდუქციის მიღების კონტროლს და სხვა საკონტროლო ოპერაციებს, რომლებიც გათვალისწინებულია დამტკიცებული ტექნოლოგიური პროცესით;

გ) ნიშნავს და ატარებს მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და საკომპლექტებელი ნაკეთობების ხარისხის, ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციისა და გადასვლის შესრულების ხარისხის, ტექნოლოგიური მოწყობილობისა და ინსტრუმენტის ხარისხისა და მდგომარეობის, პროდუქციის, ნედლეულის, მასალების, საკომპლექტებელი ნაკეთობებისა და ინსტრუმენტის წარმოების, შეფუთვის, შენახვის, დატვირთვისა და საწარმოს (გაერთიანების) შიგნით ტრანსპორტირების პირობების შესრულების შერჩევით შემოწმებებს, რომლებიც გათვალისწინებული არაა დამტკიცებული ტექნოლოგიური პროცესით, აგრეთვე სხვა შემოწმებებს, რომლებიც საჭიროა დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად პროდუქციის გამოშვების უზრუნველსაყოფად;

დ) ახორციელებს ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვის შერჩევით კონტროლს — შეესაბამება თუ არა საწარმოო ოპერაციები დამტკიცებული ტექნოლოგიური რუკებისა და სხვა ტექნოლოგიური დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) აფორმებს დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ, შეესაბამება თუ არა მიღებული მზა პროდუქცია დაწესებულ მოთხოვნებს, აგრეთვე დოკუმენტებს, რომლებიც შეიცავენ ტექნიკურ დასაბუთებას საწყისი კონტროლის განხორციელებისას დაწუნებული ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, საკომპლექტებელი ნაკეთობებისა და ინსტრუმენტის მიმწოდებელთათვის პრეტენზიების წარსადგენად;

ვ) საწარმოს (გაერთიანების) სხვა ქვედანაყოფთა მუშაკებთან ერთად წარუდგენს მზა პროდუქციას შემკვეთის წარმომადგენელს მისი მიწოდების პირობებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ზ) მონაწილეობს ახალი და მოდერნიზებული პროდუქციის ნიმუშების გამოცდებში, აგრეთვე ამ პროდუქციის ტექნიკური დოკუმენტაციის შეთანხმებაში მისი ხარისხის ეფექტიანი კონტროლის პირობების უზრუნველყოფის მიზნით;

თ) მონაწილეობს საწარმოს (გაერთიანების) მიერ გამოშვებული პროდუქციის საექსპლუატაციო და სამომხმარებლო თვისებების შესახებ სტატისტიკური და სხვა მონაცემების (საგარანტიო სახელოსნოთა და სარემონტო საწარმოთა მონაცემების ჩათვლით) შეგროვების ორგანიზაციაში, გაანალიზებასა და განზოგადებაში, პროდუქციის წარმოების პროცესში მისი დეფექტების წარმოქმნის მიზეზების გაანალიზებაში, აგრეთვე პროდუქციის გამოვლენილ კონსტრუქციულ და საწარმოო ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და წუნის თავიდან ასაცილებად ღონისძიებათა შემუშავებაში, ახორციელებს კონტროლს ამ ღონისძიებათა რეალიზაციისა და ეფექტიანობისადმი;

ი) აღრიცხავს პრეტენზიებს იმის შესახებ, რომ საწარმოს (გაერთიანების) მიერ მიწოდებული პროდუქცია არ შეესაბამება დაწესებულ მოთხოვნებს, და ამზადებს დადგენილი წესით წარსადგენად ანგარიშებს პროდუქციის ხარისხის შესახებ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით;

კ) მონაწილეობს საატესტაციოდ პროდუქციის მომზადებისა და ატესტაციის განხორციელების ტექნიკური უზრუნველყოფის სამუშაოებში, ახორციელებს კონტროლს პროდუქციის წარმოების პროცესში ატესტაციის პირობების დაცვისადმი;

ლ) აკონტროლებს დაწუნებული პროდუქციის იზოლირებისა და მისი შესაბამისი მარკირებისათვის სამუშაოთა შესრულებას;

მ) ახორციელებს თვითკონტროლზე გადაყვანილი საამქროების, უბნების, ბრიგადებისა და ცალკეული მუშაკების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის პერიოდულ შერჩევით კონტროლს;

ნ) მონაწილეობს ძირითადი წარმოებისათვის გათვალისწინებული ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, საკომპლექტებელი ნაკეთობებისა და ინსტრუმენტის საწარმოსათვის (გაერთიანებისათვის) მიწოდების ხელშეკრულებათა მომზადებაში მათი ხარისხის მიხედვით მიღების პირობების შეთანხმების ნაწილში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო) შეიმუშავებს წინადადებებს საწარმოს (გაერთიანების) მიერ დამზადებული და მოხმარებული პროდუქციის ხარისხისადმი მოთხოვნების ამაღლების, ამ მოთხოვნების განმსაზღვრელი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის სრულყოფის შესახებ, აგრეთვე წინადადებებს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის სრულყოფის შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავენ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების სტიმულირებას და ბრძოლას დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ.

ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკებს არ უნდა დაეკისროთ ისეთი საწარმოო ოპერაციების შესრულების მოვალეობანი, რომლებიც დაკავშირებული არაა ტექნიკური კონტროლის განხორციელებასთან,

6. სამრეწველო საწარმოს (გაერთიანების) ტექნიკური კონტროლის განყოფილებას სათავეში უდგას განყოფილების უფროსი, რომელიც ემორჩილება უშუალოდ საწარმოს (გაერთიანების) დირექტორს (ხელმძღვანელს).

საწარმოს (გაერთიანების) ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს, აგრეთვე ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მიმართ წახალისებისა და დისციპლინური სასჯელის ზომებს იყენებს ზემდგომი ორგანო საწარმოს (გაერთიანების) დირექტორის (ხელმძღვანელის) წარდგენით. ცალკეულ შემთხვევებში აღნიშნული საკითხები შეიძლება აგრეთვე გადაწყდეს სამინისტროს (უწყების) პროდუქციის ხარისხის მთავარი ინსპექციის ან სხვა ქვედანაყოფის წარდგენით, რომელსაც დაკისრებული აქვს მისი ფუნქციები.

გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს, აგრეთვე ასეთი უფროსის მიმართ წახალისებისა და დისციპლინური სასჯელის ზომებს იყენებს გაერთიანების ხელმძღვანელი საწარმოს დირექტორის (ხელმძღვანელის) და გაერთიანების ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის წარდგენით.

პროდუქციის ხარისხის კონტროლის გაძლიერების მიზნით სამინისტროს (უწყებას) შეუძლია განსაზღვროს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის დაქვემდებარების (მათ შორის ზემდგომი ორგანოსადმი, სამინისტროს (უწყების) პროდუქციის ხარისხის მთავარი ინსპექციისადმი ან სხვა ქვედანაყოფისადმი, რომელსაც დაკისრებული აქვს მისი ფუნქციები) სხვა წესი.

7. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი:

ა) წარმართავს ტექნიკური კონტროლის განყოფილების საქმიანობას, უზრუნველყოფს ტექნიკური კონტროლის განყოფილების კადრების შერჩევასა და განაწილებას და კონტროლს გაუწევს მის მუშაობას, მოაწყობს ტექნიკური კონტროლის მუშაკთა ტექნიკურ სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

ბ) გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას მზა პროდუქციის მიღების ან მისი წუნდების შესახებ ტექნიკური კონტროლის განყოფილებისა და საწარმოო ქვედანაყოფების მუშაკთა შორის უთანხმოების შემთხვევებში;

გ) შეატყობინებს ᲡᲡᲠ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის პროკურატურის ტერიტორიულ ორგანოებს მიმწოდებლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილსამყოფელის მიხედვით სტანდარტების, ტექნიკური პირობების ან ნიმუშების (ეტალონების) შეუსაბამო პროდუქციის არაერთგზის ან დიდი ოდენობით მიღების ფაქტების შესახებ;

დ) მოახსენებს ზემდგომ ორგანოს, სამინისტროს (უწყების) პროდუქციის ხარისხის მთავარ ინსპექციას ან სხვა ქვედანაყოფს, რომელსაც დაკისრებული აქვს მისი ფუნქციები, საწარმოს (გაერთიანების) მიერ გამოშვებული პროდუქციის დაწესებული მოთხოვნებისადმი შეუსაბამობის გამო პრეტენზიების მიღების შემთხვევების, ამ პრეტენზიების განხილვის შედეგებისა და მიღებული ზომების შესახებ;

ე) მონაწილეობას მიიღებს ცალკეული მუშაკების, ბრიგადების, უბნებისა და საამქროების თვითკონტროლზე გადაყვანის საკითხთა გადაწყვეტაში, აგრეთვე შეიტანს საჭირო შემთხვევებში წარდგინებებს იმის შესახებ, რომ საწარმოს (გაერთიანების) მუშაკებსა და ქვედანაყოფებს ჩამოერთვათ თვითკონტროლის უფლება.

8. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს უფლება აქვს:

ა) შეწყვიტოს განმეორებული დეფექტების მქონე პროდუქციის მიღების კონტროლი ამ დეფექტების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრამდე;

ბ) აკრძალოს და ამავე დროს წერილობით შეატყობინოს საწარმოს (გაერთიანების) დირექტორს (ხელმძღვანელს):

წარმოებაში ისეთი ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, საკომპლექტებელი ნაკეთობებისა და ინსტრუმენტის გამოყენება, რომლებიც არ შეესაბამება დაწესებულ მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებას;

პროდუქციის დამზადება ცალკეულ ჩარხებზე, აგრეგატებზე, უბნებსა და საამქროებში, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ დაწესებული ტექნოლოგიის დაცვას და პროდუქციის დამზადებას ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად;

ახალი პროდუქციის დამზადება, თუ ამ პროდუქციის საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური დოკუმენტაცია ვერ უზრუნველყოფს სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნების დაცვას ან თუ შექმნილი არ არის ასეთი პროდუქციის ხარისხის ობიექტური შეფასებისათვის საჭირო პირობები;

იმ პროდუქციის რეალიზაცია, რომელიც არ მიიღო ტექნიკური კონტროლის განყოფილებამ;

იმ საკონტროლო-საზომ საშუალებათა გამოყენება, რომელთაც არ გაუვლიათ დადგენილი წესით შემოწმება, ან უწესივროა;

გ) წარუდგინოს საწარმოს (გაერთიანების) შესაბამის ქვედანაყოფებსა და თანამდებობის პირებს შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნები იმის შესახებ, რომ აღმოფხვრან პროდუქციის დეფექტების წარმოქმნის მიზეზები და წარმოების ტექნოლოგიის დარღვევები და განახორციელონ სხვა საჭირო ღონისძიებანი დაწესებული მოთხოვნების შესაბამისი პროდუქციის გამოშვების უზრუნველსაყოფად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) წარუდგინოს საწარმოს (გაერთიანების) ხელმძღვანელობას წინადადებანი იმის შესახებ, რომ საწარმოს (გაერთიანების) თანამდებობის პირები და მუშები, რომელთაც დანაშაული მიუძღვით დაწესებული მოთხოვნების შეუსაბამო პროდუქციის დამზადებაში, დაეკისროთ პასუხისმგებლობა, აგრეთვე წინადადებანი იმის შესახებ, რომ საამქროების, უბნების უფროსებს, ოსტატებსა და ბრიგადირებს, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის დამზადება დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად, შეუმცირდეთ ან ჩამოერთვათ პრემიები;

ე) მიმართოს პროდუქციის ხარისხის და ტექნიკური კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებზე უშუალოდ ზემდგომ ორგანოს და სამინისტროს (უწყების) პროდუქციის ხარისხის მთავარ ინსპექციას ან სხვა ქვედანაყოფს, რომელსაც დაკისრებული აქვს მისი ფუნქციები.

ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მითითებათა დაუსაბუთებელი გაუქმების შემთხვევაში იგი მოვალეა აცნობოს ეს ზემდგომ ორგანოს და სამინისტროს (უწყების) პროდუქციის ხარისხის მთავარ ინსპექციას ან სხვა ქვედანაყოფს, რომელსაც დაკისრებული აქვს მისი ფუნქციები.

9. უთანხმოებას საწარმოს (გაერთიანების) დირექტორსა (ხელმძღვანელსა) და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს შორის განიხილავს საწარმოს (გაერთიანების) მიმართ ზემდგომი ორგანო სამინისტროს (უწყების) პროდუქციის ხარისხის მთავარი ინსპექციის ან სხვა ქვედანაყოფის მონაწილეობით, რომელსაც დაკისრებული აქვს მისი ფუნქციები.

10. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი საწარმოს (გაერთიანების) დირექტორისა (ხელმძღვანელისა) და მთავარი ინჟინრის თანაბრად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პასუხისმგებელია მდარეხარისხოვანი ან სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შეუსაბამო, ანდა არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის.

ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი პასუხისმგებელია აგრეთვე:

საწარმოში (გაერთიანებაში) ტექნიკური კონტროლის სისტემის ორგანიზაციის, მდგომარეობისა და სრულყოფისათვის;

ტექნიკური კონტროლის განყოფილებისადმი დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისა და მისთვის მინიჭებული უფლებების არასწორად გამოყენებისათვის;

იმ დოკუმენტების არასწორად და არადროულად გაფორმებისათვის, რომლებიც ადასტურებენ, რომ საწარმოს (გაერთიანების) მიერ გამოშვებული პროდუქცია შეესაბამება დაწესებულ მოთხოვნებს;

საკონტროლო ოპერაციებში უწესივრო, არასწორი და ისეთი საკონტროლო-საზომი საშუალებების გამოყენებისათვის, რომელთაც არ გაუვლიათ შემოწმება დადგენილი წესით.

11. ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა საკონტროლო პროდუქციის დაწესებული მოთხოვნებისადმი შესაბამისობის არასწორი შეფასებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდარეხარისხოვანი პროდუქციის დამზადების შემთხვევაში ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საწარმოს (გაერთიანების) შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებს, ოსტატებსა და სხვა მუშაკებს (მათ შორის ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკებს), რომელთაც დანაშაული მიუძღვით ამ პროდუქციის დამზადებაში.

12. საწარმოს (გაერთიანების) ტექნიკური კონტროლის განყოფილების სტრუქტურასა და შტატებს შეიმუშავებს სამინისტროს (უწყების) მიერ დამტკიცებული ტიპობრივი სტრუქტურებისა და შტატების შესაბამისად, წარმოების ხასიათის, აგრეთვე საკონტროლო ოპერაციათა შრომატევადობის გათვალისწინებით, და დაამტკიცებს საწარმოს (გაერთიანების)) დირექტორი (ხელმძღვანელი).

13. ეს ტიპობრივი დებულება სამრეწველო საწარმოს (გაერთიანების) ტექნიკური კონტროლის განყოფილების (სამმართველოს) შესახებ არ ვრცელდება თავდაცვითი მრეწველობის დარგების საწარმოებზე.

---

15 მარნეულის მრავალწლოვანი ბალახების თესლის მწარმოებელი საბჭოთა მეურნეობისათვის სახელის გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მარნეულის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება და მარნეულის მრავალწლოვანი ბალახების თესლის მწარმოებელ საბჭოთა მეურნეობას დაერქვას მარნეულის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 24 იანვარი, № 68

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 „სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 46 დადგენილების რეალიზაციის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1980 წლის 17 იანვრის № 46 დადგენილებით „სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ“:

1. დააწესა, რომ:

ა) გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა მივლინების ნებართვას იძლევიან გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. ამასთან დაქვემდებარების წესით ზემდგომ ორგანიზაციაში მივლინება ხორციელდება ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის გამოძახებით ან მასთან შეთანხმებით;

ბ) მუშაკის მივლინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს, გზაში ყოფნის დროის ჩაუთვლელად. მივლინების ვადის გაგრძელება დასაშვებია არა უმეტეს 10 დღისა გაერთიანების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნებართვით. დაქვემდებარების წესით ზემდგომ ორგანიზაციაში მივლინების ვადა გაგრძელდება მხოლოდ ამ ორაგნიზაციის ხელმძღვანელის ნებართვით;

გ) III და უფრო მაღალი თანრიგის კვალიფიციური მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და სახაზო ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის, რომლებიც იგზავნებიან სამონტაჟო, გასამართავ და სამშენებლო სამუშაოთა შესასრულებლად, მივლინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელიწადს;

დ) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებში ან სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის სხვა ორგანოებში მუშაკთა მივლინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, გზაში ყოფნის დროის ჩაუთვლელად. განსაკუთრებულ შემთხვევებში დასაშვებია მივლინების ვადის გაგრძელება არა უმეტეს 5 დღისა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრების, უწყებათა ხელმძღვანელების ან მათი მოადგილეების წერილობითი ნებართვით;

ე) რევიზიებისა და შემოწმებების ჩასატარებლად მივლინებათა ხანგრძლივობა განისაზღვრება ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ) მივლინებაში ყოფნის თითოეული დღისათვის მუშაკს მიეცემა დღიური 2 მანეთისა და 60 კაპიკის ოდენობით, ხოლო უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებისა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში, აგრეთვე ხაბაროვსკისა და ზღვისპირეთის მხარეებში და ამურის ოლქში — 3 მანეთი და 50 კაპიკი;

ზ) სამონტაჟო, გასამართავ და სამშენებლო სამუშაოთა შესასრულებლად მივლინებულ III და უფრო მაღალი თანრიგის კვალიფიციურ მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და სახაზო ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს იმ შემთხვევებში, როცა ეს სამუშაოები ორ თვეზე მეტ ხანს **გრძელდება,** მივლინების ადგილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ყოფნის დროისათვის მიეცემათ ხელფასის დანამატი დღიურების ნაცვლად სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი სარგოს) 50 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 2 მანეთი და 60 კაპიკისა, ხოლო ადგილებში, სადაც გამოყენებულია ხელფასის კოეფიციენტები, აღნიშნული დანამატის ოდენობა დაწესებული კოეფიციენტების გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს 3 მანეთსა და 50 კაპიკს მივლინების თითოეული დღისათვის;

თ) მივლინებულ მუშაკს აუნაზღაურდება საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები გადახდილი ანგარიშის საფუძველზე, მაგრამ დღე-ღამეში არა უმეტეს 4 მანეთისა — ქალაქ მოსკოვში, ლენინგრადში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში მივლინებისას და დღე-ღამეში არა უმეტეს 3 მანეთისა — სხვა დასახლებულ პუნქტებში მივლინებისას;

ი) იმ შემთხვევაში, თუ არ წარადგენენ გადახდილ ანგარიშებს, მივლინებულ მუშაკებს აუნაზღაურდებათ საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები ქ. მოსკოვში, ლენინგრადში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში — 1 მანეთი დღე-ღამეში, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და საოკრუგო დაქვემდებარების ქალაქებში — 70 კაპიკი დღე-ღამეში და სხვა დასახლებულ პუნქტებში — 50 კაპიკი დღე-ღამეში;

კ) მივლინების ადგილამდე და უკან მუდმივ სამუშაო ადგილამდე მივლინებული მუშაკის მგზავრობა ანაზღაურდება მგზავრობის დოკუმენტების საფუძველზე, მაგრამ არა უმეტეს:

რკინიგზით — პლაცკარტიან (კუპეებიან) ვაგონში მგზავრობის ღირებულებისა;

საწყლოსნო გზებით — საზღვაო ფლოტის გემებზე სატარიფო განაკვეთების V-VIII ჯგუფების მიხედვით ანაზღაურებულ კაიუტებში და სამდინარო ფლოტის გემებზე III კატეგორიის კაიუტებში მგზავრობის ღირებულებისა;

გზატკეცილებითა და გრუნტის გზებით — საზოგადოებრივი სარგებლობის ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) მგზავრობის ღირებულებისა;

ლ) საჰაერო ტრანსპორტით სარგებლობისას ანაზღაურდება ჩვეულებრივი კლასის ბილეთის ღირებულება;

მ) მივლინებული მუშაკის მგზავრობა რბილ ვაგონში, საზღვაო ფლოტის გემებზე სატარიფო განაკვეთების II-IV ჯგუფების მიხედვით ანაზღაურებულ კაიუტებში და სამდინარო ფლოტის გემებზე I-II კატეგორიის კაიუტებში ანაზღაურდება გაერთიანების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნებართვით, თუ მგზავრობა ერთ მხარეს დღე-ღამეზე მეტ ხანს გრძელდება ან ღამით მიმდინარეობს;

ნ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, გაერთიანების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნებართვით, ანაზღაურდება I კლასის ბილეთის ღირებულება საჰაერო ტრანსპორტით სარგებლობისას;

საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების ნორმები სსრ

ო) ამ დადგენილებით გათვალისწინებული დღიურების ოდენობა და კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრთა საბჭოებმა უნდა შეცვალონ სამსახურებრივი მივლინებებისათვის დასახარჯი სახსრების და ამ მიზნით დაწესებული ლიმიტების გაუდიდებლად.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს მკაცრი კონტროლი იმისადმი, რომ სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დაიცვან სამსახურებრივი მივლინებებისათვის დაწესებული ხარჯების (ასიგნებათა) ლიმიტები;

ბ) სამხედრო მოსამსახურეთა მივლინების წესსა და პირობებს განსაზღვრავენ — შესაბამისად — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი;

გ) გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და მთავარ (უფროს) ბუღალტრებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა გამოყოფილ ასიგნებათა შესაბამისად მივლინების სახსრების ხარჯვისათვის.

2. უფლება მისცა სსრ კავშირის მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დააწესონ ცალკეულ შემთხვევებში სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შესასრულებელ სამუშაოთა ხასიათისა და სახსრების მკაცრი ეკონომიის აუცილებლობის გათვალისწინებით, მივლინების უფრო ხანგრძლივი ვადები. ვიდრე აღნიშნულია ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში.

3. უცვლელად დატოვა სსრ კავშირის მთავრობის ცალკეული გადაწყვეტილებებით ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებისათვის დაწესებული დღიურების (ან დღიურების ნაცვლად დანამატის) და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯების უფრო მაღალი ოდენობა.

4. აკრძალა მომხმარებელ გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკების მივლინება მიმწოდებელ საწარმოებში, ბაზებსა და გასაღების კანტორებში ნედლეულის, მასალების, მოწყობილობისა და სხვა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გაგზავნასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სსრ კავშირის სამინისტროსა და უწყების და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ნებართვით და მიმწოდებელ სამინისტროსთან შეთანხმებით, აღნიშნულ საწარმოებში, ბაზებსა და გასაღების კანტორებში შეიძლება მივლინებულ იქნენ სპეციალური შეკვეთით დამზადებული მოწყობილობისა და ხელსაწყოების მიმღები სპეციალისტები.

5. დაავალა სსრ კავშირის მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უზრუნველყონ მკაცრი კონტროლი სამსახურებრივი მივლინებებისათვის სახსრების სწორად და ეკონომიურად ხარჯვისადმი, მიიღონ ზომები ამ საქმეში ზედმეტობათა ლიკვიდაციისათვის, გააუმჯობესონ მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და დანერგვისათვის მივლინებათა დაგეგმვა და ორგანიზაცია, შეზღუდონ სამინისტროებში, უწყებებსა და სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ორგანოებში მივლინებულ პირთა რიცხვი, პასუხი მოსთხოვონ სამსახურებრივი მივლინებებისათვის სახელმწიფო სახსრების უკანონოდ ხარჯვაში დამნაშავე პირებს.

6. დაავალა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დაამტკიცოს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად ინსტრუქცია სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ.

7. გადაწყვიტა ეს დადგენილება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1980 წლის 15 იანვრიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 28 იანვარი, № 73

17 სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ივლისის № 427 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილება სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 4 თებერვალი, № 87

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 4 თებერვლის № 87 დადგენილებით

ნუსხა

სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის იმ დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 17 ივლისის № 27 დადგენილება „შრომა-გასწორების გარდამავალი სახლის დებულების დამტკიცების შესახებ". (საქ. სსრ კან. კრ., 1924 წ., № 2, მუხ. 5.)

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 25 ნოემბრის № 36 დადგენილება „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის დაწესებულებათა დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ". (საქ. სსრ კან. კრ., 1924 წ., № 5, მუხ. 26).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 23 მარტის დადგენილება „მუშათა რაიონებისა და დაბების, მუშათა საერთო საცხოვრებლებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". (საქ. სსრ კან. კრ., 1932 წ. № 11, მუხ. 79).

4. მე-6 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებისა „ადგილობრივ ტრანსპორტზე მომხდარი ავარიებისა და შემთხვევების აღნუსხვის მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებში ცენტრალიზაციის შესახებ". (საქ. სსრ კან. კრ., 1932 წ., № 24, მუხ. 246).

5. „საბიბლიოთეკო ფონდის დაცვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 25 აგვისტოს № 1135 დადგენილების (მე-3 და მე-4 პუნქტები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაწილში. (საქ. სსრ კან. კრ., 1935 წ., № 27, მუხ. 168).

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 28 ნოემბრის № 1614 დადგენილება „ავტომანქანების ავარიებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ". (საქ. სსრ კან. კრ., 1935 წ., № 32, მუხ. 205).

7. „მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებში ავტოსაჭაპანო ტრანსპორტისა და საქალაქო რკინიგზებზე მომხდარი ავარიებისა და მარცხების აღრიცხვის ორგანიზაციის შესახებ" საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 8 თებერვლის № 163 დადგენილების მე-6 პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ., 1938 წ., № 5, მუხ. 19).

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 28 ივნისის № 924 დადგენილება „ტყის ხანძრის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ., 1938 წ., № 1, მუხ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 14 ოქტომბრის № 1938 დადგენილება „ტყის ხანძრების თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1938 წ., № 7, მუხ. 32).

10. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 30 აპრილის № 615 დადგენილებისა „სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული გადასახდელის დაწესების საკითხზე კაშკათალინის სასოფლო საბჭოს აღმასკომისათვის ახსნა-განმარტების მიცემის თაობაზე ბაშკიჩეთის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 მაისის № 332 დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ბავშვთა და მოზარდთა მომწყობი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“, გარდა მე-5 პუნქტისა.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 აპრილის № 261 დადგენილება „საქართველოს სსრ შინაგან წყალსატევებში თევზჭერის იმ წესების მე-17 მუხლის დამატების შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილებით“, ჯარიმების ოდენობის ნაწილში.

13. მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 იანვრის № 10 დადგენილებისა „მოძრაობის უსაშიშროების, ავტომობილების გამოყენების წესების უხეში დარღვევის ფაქტებისა და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტზე ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შესახებ“.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 მარტის № 168 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 სექტემბრის № 606 დადგენილებით დამტკიცებული „დებულების საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის და ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ“ VI განაყოფის დამატების თაობაზე“.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 29 ივნისის № 396 დადგენილება „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულების შესრულების ღონისძიებებზე“, გარდა მე-5 პუნქტისა.

16. პირველი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 30 აგვისტოს № 559 დადგენილებისა „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“.

17. მე-5 და მე-6 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 17 სექტემბრის № 604 დადგენილებით დამტკიცებული № 2 ნუსხა ცვლილებებისა, რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 3 ივნისის № 612 დადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილებასთან და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებასთან დაკავშირებით".

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 14 აგვისტოს № 510 დადგენილება „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულების შეფარდების წესის დამტკიცების შესახებ", გარდა მე-3 პუნქტისა.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 იანვრის № 5 დადგენილება „სანადირო გლუვლულიანი თოფების და მათთვის საჭირო საბრძოლო მასალის შეძენის, შენახვისა და გამოყენების წესის შესახებ", გარდა მე-9 პუნქტისა.

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 29 აგვისტოს № 465 დადგენილება „საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს არასრულწლოვანთა შრომითს კოლონიებთან არსებული საზოგადოებრიობის საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ".

21. მე-3 პუნქტის „ა", „ბ", „გ" ქვეპუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 19 მაისის № 285 დადგენილებისა „კაფეების, რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოების მუშაობის შესახებ".

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 24 სექტემბრის № 526 დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმ პირთა შრომითი მოწყობის წესის დამტკიცების შესახებ, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 8 აპრილის № 259 დადგენილებით დამტკიცებული დებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 27 თებერვალი, № 148

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 27 თებერვლის № 148
დადგენილებით

დებულება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის შესახებ

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველდღიური კავშირურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობა.

2. მუდმივი წარმომადგენლობის საქმიანობას საფუძვლად უდევს ოპერატიული და უშუალო მონაწილეობა ყველა იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომლებიც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეაქვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, სსრ კავშირის სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და სხვა ორგანოებში.

3. აქედან გამომდინარე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

ა) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სს რესპუბლიკასთან დაკავშირებულ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტების, საქართველოს სს რესპუბლიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კომისიების წინადადებათა შემუშავებასა და განხილვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, სსრ კავშირის სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და სხვა ორგანოებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, სახელმწიფო ბიუჯეტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების პროექტების, უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთო-სახელმწიფოებრივი, სადარგთაშორისო და რეგიონალური პროგრამების და სხვა საკითხების განხილვაში, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკას ეხება;

გ) მონაწილეობა მიიღოს საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში, როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობის დავალებით საკითხებს აღძრავენ უშუალოდ რესპუბლიკის სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა ორგანოების წინაშე, და წარადგინოს აღნიშნულ ორგანოთა მოთხოვნით საჭირო მასალები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სისტემატურად აცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა პროექტებისა და სხვა ღონისძიებების თაობაზე, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკას ეხება, და რესპუბლიკის მთავრობის მიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, სსრ კავშირის სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და სხვა ორგანოებში შეტანილი საკითხების გადაწყვეტის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა ორგანოების გადაწყვეტილებათა პროექტების გამო რესპუბლიკის შესაბამის ორგანოთა შენიშვნების განხილვის შედეგები;

ე) კონტაქტები იქონიოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუდმივ წარმომადგენლობებთან და ყოველნაირად შეუწყოს ხელი იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოს სს რესპუბლიკის სამეურნეო და სოციალურ-კულტურული კავშირურთიერთობის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებთან;

ვ) მონაწილეობა მიიღოს გამოფენების, ჩვენებების, შემოქმედებითი საღამოების, მიღება-დარბაზობებისა და ლექციების ჩატარებასა და ორგანიზაციაში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის მიღწევათა პოპულარიზაციის მიზნით;

ზ) კონტროლი გაუწიოს ქალაქ მოსკოვში მოსწავლე სტუდენტთა, განსაკუთრებით მიზნობრივ ასპირანტურაში კონკურსგარეშე მიღებულ პირთა აკადემიურ მოსწრებას და აღმოუჩინოს მათ საჭირო პრაქტიკული და მატერიალური დახმარება; თვალყური ადევნოს რესპუბლიკის ლიმიტებით სწავლის კურსდამთავრებულ სპეციალისტთა გამოგზავნას საქართველოს სს რესპუბლიკაში სამუშაოდ;

თ) საჭირო დახმარება აღმოუჩინოს სამსახურებრივ დავალებათა შესრულებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით მივლინებულ მუშაკებს;

ი) განახორციელოს კონტროლი ქალაქ მოსკოვში არსებული საქართველოს სსრ ორგანიზაციების მუშაობისადმი;

კ) საჭირო შემთხვევებში ხელი შეუწყოს და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ქალაქ მოსკოვში ჩასულ საქართველოს სსრ მოქალაქეებს.

4. ამ დებულების მე-3 პუნქტში აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობას უფლება აქვს:

ა) უშუალო კონტაქტები დაამყაროს სსრ კავშირის ყველა ორგანოსთან საამისოდ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მხრივ განსაკუთრებული რწმუნების გარეშე;

ბ) მიიღოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისაგან, სამინისტროებისაგან, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებებისაგან საჭირო მასალები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში და სსრ კავშირის სხვა ორგანოებში განსახილველ საკითხებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მიიღოს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან საჭირო საანგარიშგებო მონაცემები ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულების, აგრეთვე რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის დარგში მიღწევების შესახებ;

დ) მიიღოს საქართველოს სსრ სამინისტროებისაგან, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებებისაგან ქალაქ მოსკოვში განლაგებულ შესაბამის ორგანიზაციებთან საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის გეგმები;

ე) მიიღოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსაგან იმ სტუდენტთა და ასპირანტთა სიები, რომლებიც გაგზავნილი არიან მიზნობრივ ასპირანტურაში, ქალაქ მოსკოვში განლაგებულ უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში კონკურსგარეშე მისაღებად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა უგზავნის მუდმივ წარმომადგენლობას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და უმნიშვნელოვანეს განკარგულებებს, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, სსრ კავშირის სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და ქალაქ მოსკოვში განლაგებულ სხვა ორგანოებში გასაგზავნი წარდგინებებისა და წერილების ასლებს, საჭირო მასალების თანდართვით.

6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კანონებითა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ კანონებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობას სათავეში უდგას მუდმივი წარმომადგენელი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუდმივ წარმომადგენელს ჰყავს მოადგილე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობაში არის შემდეგი განყოფილებანი;

ა) მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის განყოფილება;

ბ) სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, ვაჭრობისა და ფინანსების განყოფილება;

გ) მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება;

დ) საერთო განყოფილება;

ე) ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება.

8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის საქმიანობას და პერსონალურად აგებს პასუხს მუდმივი წარმომადგენლობისათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად;

ბ) წარმოადგენს მუდმივ წარმომადგენლობას ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, საწარმოსა და ორგანიზაციაში მუდმივი წარმომადგენლობის კომპეტენციის ფარგლებში საამისოდ განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე და მონაწილეობს დადგენილი წესით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და კომისიების, სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა ორგანოების კოლეგიების სხდომებში, აგრეთვე მონაწილეობს საჭიროების კვალობაზე სსრ კავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ მოწვეულ თათბირებში;

გ) მუდმივი წარმომადგენლობის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე და შესასრულებლად;

დ) შეარჩევს, ნიშნავს და ათავისუფლებს დადგენილი წესით მუდმივი წარმომადგენლობის მუშაკებს, იღებს ზომებს მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ე) არის კრედიტების განმკარგულებელი.

9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის შენახვის ხარჯები გაიღება საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებიდან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის სტრუქტურას, რიცხოვნობასა და ხელფასის თვიურ ფონდს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბ. ჭოს მუდმივი წარმომადგენლობის საშტატო განრიგს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი.

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობა მუდმივად იმყოფება ქალაქ მოსკოვში.

11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება ქართულ და რუსულ ენებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19 შრომის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ივლისის № 427 დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს შრომის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილება თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წლის 29 თებერვალი, № 163

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 29 თებერვლის № 163 დადგენილებით

ნუსხა

შრომის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის იმ დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 25 აგვისტოს № 106 დადგენილებით დამტკიცებული „დებულება პასუხსაგები შრომის ამხანაგობათა (არტელების) შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ., № 2, მუხ. 3).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 25 ოქტომბრის № 37 დადგენილება „შრომის საქმეთა პროკურატურის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ., № 5, მუხ. 27).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 29 თებერვლის № 22 დადგენილება „სასესხო პროცენტის უკიდურესი ნორმის შესახებ“, გარდა მე-3 პუნქტისა (საქ. სსრ კან. კრ., 1928 წ., № 3, მუხ. 22).

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება „შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1929 წ., № 21, მუხ. 248).

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 29 აპრილის დადგენილება „დაწინაურებულთა მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1931 წ., № 12, მუხ. 143).

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 22 მაისის დადგენილება „თესვისა და მოსავლის აკრეფის დროს მედპერსონალის ქალაქებიდან საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო სადგურებისა და კოლმეურნეობების რაიონებში დროებით გაგზავნის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1931 წ., № 12, მუხ. 147).

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 4 დეკემბრის დადგენილება „სასამსახურო შენობებისა და სადგომების საერთო და სახანძრო დაცვის წესების და სასამსახურო დოკუმენტების შენახვის წესების დარღვევისათვის სადისციპლინო წესებისამებრ დატუსაღების სახით გადასახდელდადებულ მომუშავეთა პყრობილობის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1933 წ., № 1, მუხ. 24).

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 14 აპრილის დადგენილება „საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მომუშავეთა ა/კ სფსრ-ის ფარგლებს გარეთ წარვლინების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1934 წ., № 10, მუხ. 98).

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 17 იანვრის № 38 დადგენილება „ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ბიბლიოთეკების მომუშავეთათვის დიფერენცირებული სამუშაო ხელფასის დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1935 წ., № 3, მუხ. 16).

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის № 1116 დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებთან ქვაბზედამხედველობის ინსპექციათა ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1937 წ., № 16, მუხ. 119).

11. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 27 დეკემბრის № 2512 დადგენილება „საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის შრომის წიგნაკების დაგზავნის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1938 წ., № 9, მუხ. 51).

12. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 19 დეკემბრის № 2609 დადგენილება „სწავლის ფულის გადახდისაგან პენსიონერ ინვალიდ მოსწავლეებისა და მათი შვილების, აგრეთვე საბავშვო სახლების აღსაზრდელთა განთავისუფლების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1941 წ., № 1, მუხ. 8).

13. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 25 მარტის № 496 დადგენილება „შრომის წიგნაკების გაცემის ანგარიშგების წარდგენის ვადების შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1941 წ., № 13, მუხ. 82).

14. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 9 ივლისის № 1006 დადგენილება „მუზეუმების მუშაკთა სათანამდებობო განაკვეთების შესახებ“.

15. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 31 ივლისის № 1109 დადგენილება „მეცნიერებათა აკადემიის საკითხები“.

16. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 2 ნოემბრის № 1562 დადგენილება „ტექნიკუმების, საშუალო სამედიცინო და უფლებრივი სკოლების, სამხატვრო, მუსიკალური, თეატრალური, ქორეოგრაფიული სასწავლებლებისა და მუშაკების მასწავლებლებისათვის, დირექტორებისათვის და დირექტორების მოადგილეებისათვის (სასწავლო ნაწილში) ხელფასის მომატების შესახებ“.

17. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 16 მარტის № 235 დადგენილება „ომიანობის დროს 16 წლამდე ასაკის მოზარდთათვის ყოველკვირეული დასვენების დღისა და შვებულების მიცემის შესახებ“.

18. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 10 აგვისტოს № 870 დადგენილება „1944 წელს უმაღლეს სასწავლებელთა ასპირანტურაში მიღების გეგმის შესახებ“.

19. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 30 აგვისტოს № 996 დადგენილება „საქართველოს სსრ ფინსახკომთან მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველოს მოწყობის, ავტონომიური რესპუბლიკების ფინსახკომებთან, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან სახელმწიფო დახმარების განყოფილებათა შექმნისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ ფეხმძიმე ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისა და მიცემის, აგრეთვე შეღავათების მინიჭების წესის შესახებ დამტკიცებული დებულების განხორციელების ზოგიერთ ღონისძიებათა თაობაზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 28 თებერვლის № 229 დადგენილება „სათბობისა და ელექტროენერგიის ნაკლებობის გამო საწარმოთა გაცდენის დროისათვის მუშათა შრომის ანაზღაურების შესახებ“.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 19 ივნისის № 363 დადგენილება „კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთათვის შესრულებულ სამუშაოებში მარცვლის მიყიდვის დებულებისა და ინსტრუქციების დამტკიცების და ციტრუსოვანი მეურნეობების მუშების, საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტებისა და ხელმძღვანელი მუშაკებისათვის ნატურალური და ფულადი ჯილდოების მიცემის შესახებ“.

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 18 ივლისის № 530 დადგენილება „სამკერდე ნიშნის დებულებისა და ნიმუშების „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებული“, „საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებული“ და „საქართველოს სსრ ინვალიდთა სარეწაო კოოპერაციის სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებული“ — დამტკიცების შესახებ“.

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 30 აგვისტოს № 1138 დადგენილების „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის სისტემის სასოფლო ბიბლიოთეკებისა და სასოფლო კლუბის შტატების დამტკიცების შესახებ“ მე-2 პუნქტი.

24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 ივლისის № 617 დადგენილება „შრომისუნარიანი კოლმეურნეებისათვის შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის შესახებ“.

25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 21 ივნისის № 420 დადგენილება „ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სასოფლო დაწესებულებათა მუშაკებისათვის ხელფასის მიცემის წესის შესახებ“.

26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 24 დეკემბრის №742 დადგენილება „იმის შესახებ, რომ გავრცელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 201 დადგენილების მე-3 და მე-6 პუნქტებით დაწესებული შეღავათები ინვალიდებზე საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს უფროსთა და რიგითს შემადგენლობის პირთა რიცხვიდან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 სახალხო მეურნეობის ზოგად საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ივლისის № 427 დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სახალხო მეურნეობის ზოგად საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილება თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1980 წ. 29 თებერვალი, № 164

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 29 თებერვლის № 164 დადგენილებით

ᲜᲣᲡᲮᲐ

სახალხო მეურნეობის ზოგად საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის იმ დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 19 მარტის № 363 დადგენილება „საზომი ხელსაწყოების სავალდებულო ხელახალი დადაღვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ., № 14, მუხ. 72).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 7 აპრილის № 463 დადგენილება „საზომ-საწონი ხელსაწყოების პასპორტიზაციის ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ., № 14, მუხ. 73).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 7 მაისის № 558 დადგენილება „საზომ-საწონი ხელსაწყოების პასპორტიზაციის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული 1935 წლის 7 აპრილის დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლების შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ., № 15, მუხ. 84).

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 16 მაისის № 622 დადგენილება „საქართველოს სსრ-ში მასალით და გაწყობილობით მომარაგების წლიური და კვარტალური ბალანსებისა და გეგმების შედგენისა და დამტკიცების წესის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ., № 16, მუხ. 102).

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 1 ივლისის № 800 დადგენილება „საშენი მასალის წარმოებაზე ანგარიშგების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ., № 13, მუხ. 86).

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 28 დეკემბრის № 1555 დადგენილება „ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დამტკიცების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 22, მუხ. 158).

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 ნოემბრის № 613 დადგენილება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის განვითარების ნაკრები გეგმის ფორმების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1. 1980 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VII-80 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 5, სააღრიცხვო თაბახი 5

შეკვეთა № 729 უე 04380 ტირაჟი 1600

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

6 24/127

ეროვნული
ბიბლიოთეკა